



This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library hosted by the [Institute for the Study of the Ancient World Library](#) in partnership with the [Georgian National Museum](#).

- Creator: Lortkipanidze, M. | ლორთქიფანიძე, მ. | Лорткипанидзе, М. Н.
- Title: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები ტომი I (სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი (194-41 და 1946-48 წწ)) | Геммы Государственного Музея Грузии том I (Каталог гемм найденных в Самтавро в 1940-1941 и 1946-1948 гг.)
- Publication Date: 1954
- Publisher: Georgian National Academy Of Sciences, Georgian National Museum
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dsc_6d1b954fa6

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

მ. ნ. ლორთქიფანიძე

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეგები

I

სამთავროს საბაროვანში მოპოვებული გეგების
კ ა გ ა ლ ო გ ი

მ. ნ. ლორთქიფანიძე

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეგმა



I

სამთავროს საბაროვანში მოპოვებული გეგმის

ქაგალოზი

(1940—41 და 1946—48 წლები)

14551
14500



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1954



14551-1/1

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მცხეთაში წარმოებული სისტემატური გათხრების შედეგად რამდენიმე ასეული ამოკვეთილგამოხატულებიანი ქვა — გემა იქნა აღმოჩენილი. ყველაზე უხვად გემები სამთავროს სამაროვანის სამარხებში იყო წარმოდგენილი. ამ გემების ნაწილი, სახელდობრ, 1938—39 წლების განათხარი მასალა, პროფ. მ. ი. მაქსიმოვას მიერ არის გამოცემული¹. ხოლო მომდევნო წლების (1940—41 და 1946—48) მონაპოვარი წინამდებარე კატალოგში არის განხილული.

კატალოგში აღწერილია 74 გემა. ამათში, სამთავროული გემების გარდა, შესულია მცხეთაში (სტალინის ქ. № 34. ე. წ ახლად აღმოჩენილი სამაროვანი) მოპოვებული 8 გემა. ჩვენს კატალოგში განხილული ყველა გემა, ძალიან მცირე გამოჩინების გარდა, საბეჭდავებს — ინტალიოს წარმოადგენს. გემებს შორის 4—კამეა არის. მათი ცალკე გამოყოფა, როგორც ეს საერთოდ არის მიღებული, არ ვცანით მიზანშეწონილად ჯგუფის მცირერიცხოვნების გამო.

წინამდებარე ნაშრომი სისტემატიკურ კატალოგს წარმოადგენს. მისი შედგენისას, რიგ საკითხებში სახელმძღვანელოდ პროფ. მ. მაქსიმოვას ახალი კლასიფიკაცია გვქონდა.

მთელი მასალა კატალოგში შეძლებისდაგვარად წარმოშობის მიხედვით გვაქვს დალაგებული და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღწერილი. კატალოგში 1—25 გემა დასავლურია, აქედან 24 ანტიკური და 1 ბიზანტიური წარმოშობისაა.

ანტიკური გემები მთელი რიგი მკვლევარების მიერ საფუძვლიანად არის შესწავლილი, შესადარებელი მასალაც მდიდარია და ამიტომ ჩვენთვის მათი კლასიფიკაცია შედარებით ადვილი იყო.

როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელ წლებამდე ახ. წ. დამდეგის ირანული წარმოშობის გემებს ყველა მკვლევარი სასანურად მიიჩნევდა. მ. მაქსიმოვამ თავის ნაშრომში — მცხეთა-სამთავროს გემების² შესახებ, ირანული გემების ჯგუფიდან გამოყო პართული გემები³. გემების ეს ჯგუფი შინაარსობლივად და მასალითაც თითქმის იმეორებს სასანურ გემებს, მაგრამ სტილისტურად და დამუშავების მხრივ თვალსაჩინოდ განსხვავდება მათგან.

პართული გემების ჯგუფი სასანურისაგან განსხვავებით არ არის ღრმად ნაკვეთი. გამოსახულება, როგორც წესი, მეტად ბრტყელი რელიეფით არის ამო-

¹ იხ. Максимова М. И., Геммы из некрополя Мухеты-Самтавро (раскопки 1938—39 гг.) საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVI В, თბილისი, 1950 წ., გვ. 220—274.

² Максимова М., დასახ. ნაშრომი.

³ ამ მხრივ აღსანიშნავია Neilson C. Debevoise-ის წერილიც — Persian Art-ში მოთავსებული.

კვეთილი. იგი პარალელური ხაზებისა და მკრთალი ღარებისაგან არის შედგენილი. მ. მაქსიმოვას განსაზღვრით რომ ვთქვათ, გამოხატულება ესკიზური მანერით არის შესრულებული, ქვაში მცირეოდენი ჩაღრმავებით¹. ცალკეული დეტალები არ არის თვალსაჩინოდ გამოყოფილი ერთმანეთისაგან და ერთ გაერთიანებულ სიბრტყეშია მოცემული.

აღმოსავლური გემების ჯგუფი რიცხობრივად აღემატება ანტიკურს; იგი 47 გემას აერთიანებს. ამ ჯგუფში შემავალი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაწილი სტილისტურად და ამოჭრის ტექნიკის მხრივ მ. მაქსიმოვას მიერ პართულ გემებად განსაზღვრული ქვების განმეორებას წარმოადგენს (მაგალითისათვის, შდრ. ჩვენი კატალოგის № 32 მაქსიმოვას მიერ გამოცემულ № 81-ს, ჩვენი № 33—მაქსიმოვას №№ 70, 71-ს, ჩვენი № 35—მაქსიმოვას² № 76-ის პირდაპირ ანალოგიას წარმოადგენს და ა. შ.).

მ. მაქსიმოვას ამ განსაზღვრას ადასტურებს კიდევ ერთი გარემოება; გვაქვს შემთხვევები, როცა ერთ სამარხში ირანული წარმოშობის გემებთან ერთად, რომელნიც სტილისტური თავისებურებებისა და დამუშავების ტექნიკით ამჟამად ჩვენ მიერ პართულად არის მიჩნეული, მათი თანადროული ანტიკური, სახელდობრ, რომაული გემა არის აღმოჩენილი. ამის მაგალითს წარმოადგენს № 711 ქვისსამარხში³ აღმოჩენილი გემები №№ 600 და 605⁴.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ხშირად პართულად მიჩნეული გემები, თანადროულ ანტიკურ ბეჭდებშია ჩასმული. მაგ., 35 (ინვ. 581), 36 (ინვ. 329), მაქსიმოვას მიერ გამოცემულებიდან №№ 68, 77 და სხვ.

ზემოხსენებულის საფუძველზე გემების გარკვეული ნაწილი პართული ეპოქის ნახელავად მივიჩნიეთ⁵.

აღმოსავლური გემების ჯგუფშივე შესაძლებელი ვახდა რამდენიმე ადგილობრივი გემის გამოყოფა. პროფ. მ. მაქსიმოვას თავის ნაშრომში—Геммы из некрополя Мцхеты-Самтавро—გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ მცხეთაში, ანტიკურ ეპოქაში, ქვის საკრეგლი სახელოსნოები არსებობდა⁶, სადაც უცხოელების გარდა ადგილობრივ ოსტატებსაც უმუშავნიათ. ვფიქრობთ, რომ გემები №№ 26—31 ამ უკანასკნელი ჯგუფის ოსტატების ნახელავად უნდა მივიჩნიოთ. ამათგან ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს №№ 27 და 28 გემები წარმოადგენს.

კატალოგში განხილული გემების ძირითადი ნაწილი ბეჭდის თვლებად არის გამოყენებული (ბეჭდები ვერცხლის, ოქროსი, რკინისა და ბრინჯაოსია); გემა № 2—მედალიონის შესამკობად (ნივთსამკაულად ყოფილა გამოყენებული); №№ 39, 40, 53—საკიდები და ზონარზე სატარებელი სამკაულებია; №№ 45, 52, 59—მთლიან ქვისგან გამოთლილ ბეჭდებს წარმოადგენს.

¹ М а к с и м о в а М., დასახ. ნაშრ., გვ. 235.

² იქვე, ტაბ. III, გამ. 81, 3, ტაბ. III, გამ. 70, 71, 4, ტაბ. III, გამ. 76.

³ მოპოვებულია მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1948 წ.

⁴ არა ერთი ანალოგიური შემთხვევა გვაქვს აღნუსხული ერევნის ისტორიულ მუზეუმში მუშაობისას.

⁵ ამ ჯგუფის გემებიდან ჯერჯერობით ადგილობრივი ნიმუშების გამოყოფა ვერ მოხერხდა.

⁶ იქვე, დასახ. ნაშრ., გვ. 240.

კამეები №№ 3, 3ა საყურეებში არის ჩასმული; № 30—საკიდად ყოფილა გამოყენებული, ხოლო № 21—ვფიქრობთ, შუბლის ან თავის სამკაული იყო (კამეა მიცვალბულის თავის არეში არის მოპოვებული).

მასალად გამოყენებულია ნახევრად ძვირფასი ქვები, ფერადი მინა, პასტა და ლითონი. ქვებიდან—გრანატი (პიროპი და ალმანდინი), სხვადასხვა ფერის სარდიონი (მუქი ნარინჯისფერი, მოწითალო და მოყავისფრო), სარდერი, წითელი და ყავისფერი იასპი, ფრცხილი, აქატი, ლაჟვარდის ქვა, ჰიაცინტი, გიშერი და გველა.

ყველა ამ ქვის დასამუშავებლად გამოყენებულია დაზგა. მინის ინტალიოები ჩამოსხმულია; ზოგ შემთხვევაში ჩამოსხმის შემდეგ, ე. ი. თვალის ყალიბიდან ამოღების შემდეგ, ოსტატს გამოყენებული აქვს საჭრისი. ამგვარ ზერხს ოსტატები, როგორც ჩანს, იმისათვის მიმართავდნენ ზოლმე, რომ ქვის შთაბეჭდილება სრულად შეექმნათ.

შინაარსობლივად ჩვენს კატალოგში განხილული გემები ნაწილობრივ იმეორებს სამთავროს სამაროვანში წინა წლებში მოპოვებულ გემებს; ზოგჯერ სხვაობა მხოლოდ კომპოზიციაშია. ანტიკურ გემებზე ღვთაებებიდან წარმოდგენილია: ჰერმეს-ფსიქოპომპოსი (სულთა იმიერ ქვეყნად გამძლოლი)—№ 1. აღნიშნული ინტალიო იტალიკურ გლიპტიკის ნიმუშს წარმოადგენს¹. ომის ქალღმერთი ათინა-პალადა—№ 6, მკურნალი ღვთაება-ჰიგიეია—№ 13, ძვესი—№ 10, სამართლის ღვთაება ნემეზიდა—№ 23. რიცხობრივად ყველას აღემატება სიუხვისა და ნაყოფიერების ქალღმერთის ტიხე-ფორტუნას გამონატულება—№№ 4, 9, 14 (ნემეზიდასთან ერთად), 18, 19 (ნიკასთან ერთად. ომში გამარჯვებისა და ომის კეთილად დამთავრების სიმბოლო). აგრეთვე ეროტი—№ 5, პანი—№ 22.

ღვთაებებს გარდა ამჯერად გმირებიც არის ასახული ჩვენს ქვებზე. სახელდობრ, პერსეოსი—№ 2, ჰერაკლე და ნემეის ლომი—№ 7 და № 47 (ეს უკანასკნელი აღმოსავლურია). აგრეთვე ავი თვალისაგან დასაცავი საშუალება—ნიღბები: კომიკური და ტრაგიკული—№№ 8 და 11, ამას გარდა, გრიფონი—№ 16, თხა—№ 12 და ა. შ.

აღმოსავლურ გემებზე ძირითათად ცხოველები, მცენარეები და ფრინველებია წარმოდგენილი. ცხოველებიდან: ზებუ,—№№ 43, 58 და 69, ირემი—№№ 62, 70, დათვი—№ 32, ცხენი—№ 53, გრიფონი—№ 71, ფრთოსანი რაში—№№ 44, 55; ფანტასტური არსება მწყემსი-მეფე-გოპად-შაპი (ფრთოსანი ლომი, ადამიანის თავით), ლომი—№ 52, ანტილოპა—№№ 40, 57, თხა—№ 39, ჯიხვი—№ 33. ფრინველებიდან: არწივი—№ 42, სირაქლემა—№ 54. გემების გარკვეულ რაოდენობაზე გამოხატულია ე. წ. სასანური მონოგრამები—№№ 56, 64, 68; მცენარეებიდან: შროშანა—№№ 596, 312. როგორც ვხედავთ, სამთავროს სამაროვანში 1940—41 და 1946—48 წლებში აღმოჩენილი საბე-

¹ იტალიკური გლიპტიკის ნიმუშები ერთეულების სახით გვხვდება საქართველოში აღმოჩენილ გლიპტიკურ ძეგლთა შორის. აღნიშნული გემის შესახებ იხ. მ. ლორთქიფანიძე. ანტიკური დროის გემები მცხეთაში აღმოჩენილი ბავშვის სამარხიდან. აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. მუზეუმის მოამბე, XVI B, თბილისი, 1950, გვ. 91—95.

ქდავეების თემა საკმაოდ მრავალრიცხოვანია, რიგ შემთხვევებში იგი იმეორებს წინა წლების მონაპოვართა შინაარსს და ნაწილობრივ ახალ სიუჟეტებსაც წარმოგვიდგენს.

სამთავროს სამაროვანში გემების ასეთი დიდი რაოდენობით მოპოვებისა და ზოგიერთი მათგანის ადგილობრივად წარმოების ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ მცხეთის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მოსახლეობა ფართოდ იყენებდა საბეჭდავეებს და მოთხოვნილება ამგვარ ძეგლებზე დიდი იყო.

დასასრულს მადლობას მოვახსენებ პროფ. მ. მაქსიმოვას, რომლისაგან რიგი მნიშვნელოვანი მითითებები მაქვს მიღებული აღნიშნულ მასალაზე მუშაობისას სახელმწიფო ერმიტაჟში.

ფოტო სამუშაოები შესრულებულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს საზღვრების ფოტოლაბორატორიაში ვ. თულაშვილის მიერ, ნახატები — ისტორიის განყოფილების მხატვრების მიერ.

I. ანტიკური გემები

ა) იტალიკური

1. (ინვ. 613) ინტალიო მუქი წითელი ფერის პიროპისა (გრანატი), ოქროს ბეჭედშია ჩასმული; ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა; ბრტყელი პირი აქვს. პირზე გამოხატულია ჰერმეს ფსიქოპომპოსი¹, სულთა იმიერ ქვეყნად გამძლოლი, პროფილში მარჯვნივ. ღვთაებას ლამაზი აღნაგობის კუნთიანი სხეული აქვს. განსაკუთრებული გულმოდგინებით არის დამუშავებული სახე, თავის ირგვლივ ჩახვეული თმა და გრძელი წვერ-ულვაში; ღვთაებას მარცხენა მხარზე ქლამიდა აქვს წამოსხმული, რომლის ნაკეცები ერთობ სქემატურად არის გადმოცემული, საკმაოდ თხელი ქსოვილი მოუხეშავ შთაბეჭდილებას ტოვებს. ჰერმესი გარდაცვლილი ბავშვის წინ დახრილა და სიცოცხლეს უბრუნებს მას. ღვთაებას მარჯვენა ხელი ბავშვის მარცხენა ხელისათვის წაუვლია და ქვესკნელიდან ამოჰყავს; მარცხენა ხელში ჰერმესს გადახლართულგველებიანი, ჯადოსნური კვერთხი უპყრია, რომელიც მას სულების ხელმძღვანელობაში შველის. ღვთაების ფეხთ შორის ნიადაგის გამომსახველი ზოლი მკვეთრად ჩანს (სურ. 1).

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი. წმინდა და ფაქიზი ნახელავია. იგი არ არის ღრმად ნაკვეთი, ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა. ქვა ზედმიწევნით არის გაპრილებული, ელვარებს. მკრელს ჰერმესის თავი, წამოსასხამი და კვერთხი მქრქალად დაუტოვებია.

გემები მსგავსი შინაარსით იტალიკურ გლობტიკაში ხშირია. იხ. Richter G. Catalogue of engraved gems. New-York. 1920, ტაბ. 29, გამ. 90, Furtwängler. Die Antiken Gemmen. Leipzig, 1900, ტაბ. XXI, გამ. 67, 69, 70, 71. Furtwängler. Beschreibung der Geschnittenen Steine im Antiquarium. Berlin, 1896, ტაბ. 8, გამ. 440. Reinach. Pierres gravées. Paris. 1895, ტაბ. 34, გამ. 70^b, Walters. Catalogue of the engraved gems and cameos. London, MCM XXVI,



სურ. 1 Рис.

¹ აღნიშნული გემა გამოცემულია, იხ. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 91—95.

ტაბ. XIV, გამ. 954. Osborne. Engraved gems. New-York, 1912, ტაბ. XVIII, გამ. 11. King. Antique gems and rings. London, 1872, ტაბ. III, გამ. 14. Lip-pold. Gemmen und Kameen des Altertums und der Neuzeit. Stuttgart. ტაბ. 10, გამ. 4.

ბექედი ღია ყვითელი ფერის ფურცლოვანი ოქროსაგან არის გაკეთებული. იგი სადაა და ღრუ, პასტით ამოვსებული. გვერდებისკენ განზიდული რკალი მხრებთან ფართოვდება და უშუალოდ გადადის ოვალური მოყვანილობის ბუდეში. თვალბუდის ვიწრო ნაპირები გემაზე ყოფილა შემოქედილი. ბუდეს ძირზე დაფენილი აქვს ოქროს თხელი ფირფიტა, რაც თვალს ელვარებას ანიჭებს (ტაბ. 1, 1).

ამგვარი ბექედები ახ. წ. I საუკ. მიეკუთვნება. იხ. Henkel, Die römischen Fingerringe der Rheinlande. Berlin, 1913. ტაბ. IX, გამ. 166, 166 a, 166 b; 167, 167 a, 167 b.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული, ბექედი ადგილ-ადგილ დაქცეულია; ბუდეს ნაპირი შემოკბილული აქვს.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—14 მმ, განი—12 მმ, ბექდის სიმაღლე—24 მმ, ბექდ. დიამ.—22 მმ, რკალის განი—14,5 მმ, ბუდის სიმაღლე—4 მმ, განი—15 მმ.

მცხეთა, სტალინის ქ. № 34, 1947 წ., აგურ-კრამიტსამარხი № 1, საველე წიგნის № 77 (ამავე სამარხიდან არის № 3 და 3ა).

ინტალიო ძვ. წ. I საუკუნის იტალიკური გლიპტიკის ნიმუშს. წარმოადგენს, იგი ცოტა უფრო გვიანდელ ბუდეშია ჩასმული. სახელდობრ, ახ. წ. I საუკ. ბექედში.

ბ. რ ო მ ა უ ლ ი

2. (ინვ. 318) ინტალიო მოწითალო ფერის ჰიაცინტისა, გამჭვირვალე, წვეთისებრი მოყვანილობის მოყავისფრო წითელი ლაქა აქვს. ინტალიო ვერცხლის მედალიონს ამკობს.

ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი, ქვედაპირისაკენ ვიწროვდება; პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი დაქანებული აქვს.

პირზე გამოხატულია პერსეოსის ბიუსტი, პროფილში მარჯვნივ, გმირს თავს ჰადესის თავსაბურავი უმკობს. ქუდის წვერზე არწივის თავია დამაგრებული, გვერდებზე საფეთქლის გასწვრივ—ფრთები (ქუდის მარჯვენა მხარეზე გამოხატული ფრთა ჩანს).

გმირს მაღალი და ფართო შუბლი აქვს, სწორი და გრძელი ცხვირი, მკვეთრად გამოხატული ნესტოებით; წინწამოწეული ენერგიული ნიკაპი. პერსეოსს პირი ოდნავ გაღებული აქვს, ტუჩები მკვეთრადაა გამოხატული. ნახევარრკალის მოყვანილობის წარბი გამოირჩევა შუბლზე, თვალის ქუთუთოები რელიეფური ზოლებით არის გადმოცემული; გმირს მოგრძო, ნუშისებრი მოყვანილობის თვალი აქვს, წინ იყურება. გულ-მკერდი და მხრები ნაწილობრივად არის გადმოცემული. პერსეოს მაღალი თმის ვარცხნილობა აქვს. ცალკეულ

ბლუჯებად დაყოფილი თმა წმინდა ღარებისგან არის შედგენილი, ლამაზ კისერზე ჩაშლილი—თავის ირგვლივ ისე აქვს ჩახვეული, რომ თავსაბურავის კიდეს უფარავს.

ახალგაზრდა გმირის მკერდთან, კისრის გასწვრივ, გამოხატულია შუბი, რომლითაც მედუზა მოუკლავს. შუბის ტარზე (პერსეოსის ნიკაპის გასწვრივ) გველის თავია გამოხატული. პერსეოსის სახე უსიცოცხლოა, თითქოს გაქვავებულია.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი მკვეთრად, არ არის ღრმად ნაკვეთი, ანაბეკდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა. ნახელავში ოსტატის მტკიცე და გამოცდილი ხელი ჩანს. ქვა ზედმიწევნით არის გაპრიალებული, ელვარებს. მჭრელს გამოხატულების ნაწილი მქრქალად დაუტოვებია. სახელდობრ, პერსეოსის თმა, თვალი, ტუჩები; თავსაბურავზე—არწივის თავი და ფრთა. ქვას წესიერი ფორმა აქვს, კარგად არის გათლილი.

მსგავსი გამოხატულებები რომაული ხანის გლიბტიკურ ძეგლებზე ხშირად გვხვდება. იხ. Walters. Catalogue of engraved gems and cameos. ტაბ. XVII, გამ. 1183. აგრეთვე აღწერილობა 3178. Furtwängler. Beschreibung der Geschnittenen Steine im Antiquarium. ტაბ. 18, გამ. 1827 (სტილისტურად განსხვავდება სამთავროული გემისაგან). Furtwängler. Die Antiken Gemmen. ტაბ. XXXVIII, გამ. 14.

მედალიონი ვერცხლის ვიწრო და თხელი ფირფიტისაგან არის გაკეთებული. ეტყობა ბუდისა და თვალის ნაპირი ერთ სიბრტყეზე ყოფილა მოთავსებული. უძირაა.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული. მედალიონი ფრაგმენტირებულია—სამად არის გატეხილი, ყუნწი აკლია, ვერცხლი ძალზე მყიფეა.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—16 მმ, განი—13 მმ, სიმაღლე—2 მმ, ბუდის სიმაღლე—3 მმ.

სამთავრო, 1940 წ., S უბანი, კრამიტით გადახურული ორმო-სამარხი № 224, საველე წიგნ. № 2066.

სტილისტური თავისებურების მიხედვით (თმის ცალკეულ ბლუჯებად და ნაწვევება, მხრების პირობითად გადმოცემა), გემა ახ. წ. I საუკ. თარიღდება.


3. (იხვ. 614) კამეა მოწითალო სარდიონისა, ოქროს საყურეს¹ ამკობს. კამეა² ბავშვის თავს გამოხატავს. ბავშვს მრგვალი მოყვანილობის სახე აქვს, მაღალი შუბლი, ლამაზი და სწორი ცხვირი, მკვეთრად გამოხატული პირი; მოკლენიკაპიანია, თმა შუაზე გაყოფილი და დაწნული აქვს. კეფიდან ნაწნავი წინ არის გადმოკეცილი, შუბლამდე წვდება და გაყოფის ხაზს ფარავს. ბავშვი თვალდახრილია.

¹ საყურე წყვილის ცალია. მეორე № 3ა, აქვეა მოცემული.

² აღნიშნული კამეები გამოცემულია. იხ. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 95—98.

გამოხატულება დაზგაზე ამოჭრილი, ძალიან მაღალი რელიეფით. წმინდა და საკმაოდ ფაქიზი ნახელავია. კამეა კარგად არის გაპრიალებული. გამოხატულება ზოგან მჭრქალია (თვალის უბეები და თმა) (სურ. 2).

კამეები ანალოგიური გამოხატულებით, იხ. Eichler und Kris. Die Kameen im Kunsthistorischen Museum. Wien, 1927, ტაბ. 18, გამ. 105, 106, 107. გვ. 91, გამ. 115, Walters. Catalogue of engraved gems, ტაბ. XLIV, გამ. 3664, 3662, Fossing. Catalogue of antique gems. ტაბ. XXIV, გამ. 1978, 1979.



სურ. 2 Рис.

ოქროს საყურე საკიდიანია, თვალბუდე ორი ნაწილისაგან არის შედგენილი — მრგვალი და ბრტყელი ფირფიტისაგან, რომელიც თვალზეა შემოჭედილი (კამეას ბუდე) და ცილინდრისებრი კოლოფისაგან. კამეით შემკული ბუდე — ფირფიტა, ამ ცილინდრულ კოლოფზეა დარჩილული; საყურეს გრძელ ყურში, გასაყრელი ყუნწი აქვს, მოკაუჭებულია. ბუდის ქვედა ნაწილში დამაგრებულია რგოლი, რომელზედაც საკიდია ჩამოცმული — ყურძნის მტევნის ფორმისა. „მტევანს“ ზედა ნაწილში (ნახვრეტებში) ამოყრილი აქვს ოთხი წყვილი მავთული — შეგრეხილი ბოლოში და სქელ მარყუჟად შეკრული. თვალბუდის ნაპირები უსწორმასწოროდაა შემოჭრილი.

დაცულობა: ბუდიდან ამოვარდნილი კამეა კარგად არის შენახული.

ზომა: კამეის სიგრძე—9 მმ, განი—7 მმ, სიმაღლე—5 მმ, საყურის სიგრძე—43 მმ, თვალბუდის დიამ.—14 მმ, სიმაღლე—4 მმ.

მცხეთა, სტალინის ქ. № 34, 1947 წ., აგურ-კრამიტსამარხი № 1, საველე წიგნ. № 55 (ამავე სამარხიდან არის № 1).

კამეა ახ. წ. I საუკ. თარიღდება, ტაბ. 1, 3.

3ა. (ინვ. 614) კამეა ყავისფერი სარდერისა, ოქროს საყურეს ამკობს. ეს კამეაც ბავშვის თავს გამოხატავს იმ განსხვავებით, რომ ამას ოვალური სახის მოყვანილობა აქვს, ვიწროშუბლიანია. ცხვირი და ტუჩები კამეას ჩამოტეხილი აქვს, რის ნაცვლად, უკვე შემდგომ მკრელს ორი ღრმა ღარი ამოუკვეთია ცხვირის გასწვრივ აქეთ-იქით.

კამეა დაზგაზეა ამოქრილი, მაღალი რელიეფით. წინა კამეასთან შედარებით ტლანქია. ქვა კარგად არის გაპრიალეებული. ნახელავი არ გამოიჩინება შესრულების მხრივ სიფაქიზით. ანალოგიები იხ. № 3-თან.

საყურეებს შორის მცირეოდენი განსხვავებაა; თვალბუდე ამ საყურეს ოვალური მოყვანილობისა აქვს, რგოლი რომელზედაც საკიდი ჰკიდია მრგვალი და წვრილი მავთულისაგან არის გაკეთებული. ოთხი მავთულისაგან გაკეთებული მარყუჟი ოთხად იშლება, რომლის შეერთებული ბოლოები „ყურძნის მტევნის“ თავზეა დარჩილული.

დაცულობა: საყურე კარგად არის შენახული.

ზომა: კამეის სიგრძე—10 მმ, განი—8 მმ, სიმაღლე—5 მმ, საყურის სიგრძე—42 მმ, თვალბუდის დიამ.—14 მმ, სიმაღლე 4 მმ.

მცხეთა, სტალინის ქ. № 34, 1947 წ., აგურ-კრამიტსამარხი № 1, საველე წიგნ. № 55 (ამავე სამარხიდან არის № 1) კამეა ახ. წ. I საუკ. თარიღდება.

4. (ინვ. 606) ინტალიოშუქი ნარინჯისფერი სარდიონისა, ზოვან მოწითალოა, რკინის ბეჭედს ამკობს¹.

ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ამობურცული პირი აქვს, ქვედაპირი ცენტრში გაბრტყელებულია.

პირზე გამოხატულია ტიხე-ფორტუნა (თავი პროფილში მარცხნივ არის მოცემული). თავი მეტად სქემატურად არის შესრულებული. სახის ნაკვთები—ცხვირი, პირი და შუბლი გაერთიანებულია; თმა გვირგვინივით აქვს ჩახვეული თავის ირგვლივ. მაღალი კისერი ღრმა ღარით არის გადმოცემული. ღვთაება მარცხენა ფეხს მეტად ეყრდნობა, რის გამოც ოდნავ მარცხნივ გადაწეული დგას. ქალღმერთს გრძელი, უსახელო და მრავალნაოქიანი კვართიაცვია, წელსა და თეძოვებთან ვიწრო სარტყლით გადაჭერილი. სამოსის ნაოქები ღრმა ღარებით არის შესრულებული. ტიხე-ფორტუნას იდაყვში ოდნავ მოხრილი, წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში პურის თავთავის და გაუშლელი ყაყაჩოს კონა უჭირავს; ამავე ხელით იგი მის ფეხთით მდგომ საკვს.

¹ აღნიშნული ბეჭედი გამოცემულია. იხ. ა. კალანდაძე, ახლად აღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში, მიმოძიებული, I, თბილისი, 1949 წ., გვ. 265. განსაზღვრა ჩვენია.

ეყრდნობა. მარცხენა ხელში დიდი სიუხვის ყანწი უჭირავს; ამავე მკლავზე დახვეული წამოსასხამი აქვს გადაგდებული. ნიადაგის გრძელი ზოლი მკვეთრად ჩანს. ღვთაების სხეული არ არის პროპორციული. გამოხატულება საკმაოდ სქემატურად არის შესრულებული (სურ. 3).


გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი ღრმად და მკვეთრად. იგრძნობა ოსტატის მტკიცე ხელი. სუფთა და გულმოდგინე ნახელავია. მჭრელს ინტალიოს ფონი ზედმიწევნით გაუპრიალეზია, გამოხატულება მჭრქალია, ამის გამო იგი განსაკუთრებით გამოირჩევა პირზე. ქვა წესიერად არის გათლილი.

რომაულ გემებზე მსგავსი გამოხატულებები იხ. Furtwänger. Beschreibung... ტაბ. 54, გამ. 7155; ტაბ. 60, გამ. 8435, Richter. Engraved gems... ტაბ. 79, გამ. 370 (მსგავსი ტექნიკით დამუშავებული გემები იხ. Максимова М. И., Геммы из некрополя Мухеты-Самтавро. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVI B, თბ., 1950 წ., ტაბ. I, გამ. 13).

ბეჭდის ვიწრო რკალი მხრებთან ფართოვდება და უშუალოდ გადადის ოვალური მოყვანილობის დაბალ ბუდეში. რკალს რელიეფური ზედაპირი ჰქონია, ბრტყელი შიდაპირი. ჩანს ბუდის ძირიც ბრტყელი ყოფილა. ბუდისა და თვალის ნაპირები ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული. მიუხედავად იმისა, რომ ბეჭედი დეფორმირებულია, ფორმის აღდგენა კარგად შეიძლება (სურ. 3ა).



სურ. 3 Рис.



სურ. 3ა Рис.

მსგავსი ფორმის ბეჭდები ახ. წ. I საუკ. ბოლო წლებით და II საუკ. დასაწყისით თარიღდება. იხ. Henkel. Die römischen Fingerringe... ტაბ. LVI, გამ. 1453, 1453 a, 1453 b, 1454, 1454 a, 1454 b, 1471, 1471 a, 1471 b.

დაცულობა: ინტალიოს ნაპირები ადგილ-ადგილ ატკეცილი აქვს, ქვედა ნაწილში გატეხილია. ორად გატეხილ ბეჭედს ქვედა ნაწილი აკლია. ბეჭედი ბუდეზეა გადატეხილი ისე, რომ თვალიც არის მოყოლილი. რკინა შექმულია ჟანგისაგან.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—14 მმ, განი—12 მმ, ბეჭდის დაახლ. დიამ.—21 მმ.

მცხეთა, სტალინის ქ. № 34, 1947 წ., ორფერდასახურავიანი ქვისსამარხი № 1, საველე წიგნ. № 21 (სამარხი არეული იყო).

ქვაზე ამოჭრის ტექნიკა, გამოხატულების სტილისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ. წ. I საუკ. ბოლო წლებითა და II საუკ. დასაწყისით თარიღდება.

ბ. (ინვ. 708) ინტალიო მომწვანო ფერის გამჭვირვალე მინისა, რკინის ბეჭდის ფრაგმენტში ზის. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა; ბრტყელი პირი აქვს, ბუდეში ღრმად არის ჩასმული.

პირზე გამოხატულია ეროსი, პროფილში მარჯვნივ. მარჯვენა ხელში გრძელი სარი უჭირავს და ხეზე მჯდომ პეპელას იგერიებს.

ეროსი ოდნავ მოხრილია წელში; თავი ზევით აქვს აწეული. მოკლე ფეხებიანია, ფრთა საკმაოდ მკვეთრად ჩანს. საერთოდ კი გამოხატულება მეტად მკრთალად გამოიყურება. ხე მაღალია, წვრილი და დაკლაკნილი. ხშირი შტოები პატარ-პატარა ფოთლებით არის დაფარული. ხე ეროსისკენ არის გადმოწეული. ნიადაგის ზოლი მკვეთრადაა მოცემული. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

ინტალიო ჩამოსხმულია საკმაოდ ფაქიზად შესრულებული ორიგინალიდან. გამოხატულება არ არის ღრმა, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა. თვალი ოსტატს ჩამოსხმის შემდეგ კარგად დაუმუშავებია და შემოუკეთებია; ინტალიოს სავსებით წესიერი ფორმა აქვს მიცემული.

ანალოგიური გამოხატულებები იხ. რომაული დროის გემებზე. Furtwängler. Gemmen... ტაბ. 62, გამ. 15. Furtwängler. Beschreibung... ტაბ. 56, გამ. 7478.

რკინის ბეჭედი ამჟამად დეფორმირებული და ნაკლულია. ეტყობა ბეჭედს ფართო რკალი და დაბალი ბუდე ჰქონია. ფორმის ზუსტი აღდგენა ძნელდება.

დაცულობა: ინტალიო სიგანეზე გაბზარულია ცერად. მინა იმდენად ირიზებულია, რომ გამოხატულება ძალიან მკრთალად ჩანს. ბეჭდისაგან დაჯანგული ფრაგმენტია დარჩენილი, რკალის $\frac{1}{3}$ აკლია.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—9 მმ, განი—8 მმ, ფრაგმენტის სიგრძე—25 მმ.

სამთავრო, N უბანი, 1939 წ., ქვისსამარხი № 322₂, საველე წიგნ. № 2712.

გამოხატულების სტილისა და არსებული ანალოგიების მიხედვით ინტალიო ახ. წ. I—II საუკ. თარიღდება.

გ. (ინვ. 719). ინტალიო ბაცი ფერის პიროპისა (გრანატი), ოქროს ბეჭედს ამკობს; ოვალური მოყვანილობის ინტალიოს ამობურცული პირი აქვს, არათანაბარი რელიეფით. პირზე გამოხატულია ათინა-პალადას ბიუსტი, პროფილში მარჯვნივ. ღვთაებას თავზე კორინთული მუზარადი¹ ხურავს, მუზარადს ქვემოთ კეფასთან ჩახვეული თმა ჩანს.

¹ იხ. Daremberg et Saglio. Dictionnaire des antiquités grecques et romaines. რენაკის სტატია Galea. *Κυρη*, გვ. 1443—1444. ავტორს გარჩეული აქვს მუზარადები. აღნიშნული ტიპის მუზარადს კორინთულად მიიჩნევს.

გამოხატულება საკმაოდ სქემატურია. ღვთაებას ოდნავ მრისხანე სახის გამომეტყველება აქვს. შუბლს მუზარადი უფარავს. თვალი სწორი ხაზით, ხოლო პირი, ორი მოკლე და არა ღრმა პარალელური ღარით არის გამოხატული. ქალღმერთს წინწამოწეული, ენერგიული ნიკაპი აქვს. იგი ქლამიდით არის შემოსილი, რომლის ნაკეცები ხშირი და არა ღრმა, სქემატური ხაზებით არის გადმოცემული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოკრილი მკვეთრად. მიუხედავად იმისა, რომ ოსტატს ქვის ძალიან თხელი ფენა ამოუკვეთია, ნახელავს გულმოდგინე შრომა ეტყობა. გამოხატულება ანაბეჭდზე ძალიან დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა. ქვა გამოხატულებითურთ თანაბრად არის გაპრიალეებული.

ათინას ამგვარი სახე საკმაოდ ხშირად გვხვდება რომაული დროის გემებზე. იხ. Walters. Catalogue of gems... ტაბ. XIX, გამ. 1376. Furtwängler. Beschreibung... ტაბ. 44, მაგ. 6294, 6263, 6264. ტაბ. 51, გამ. 6944, 6945.

მასივური ბეჭდის რკალი მხრებთან ფართოვდება და ოვალური მოყვანილობის დაბალ ბუდეში გადადის უშუალოდ. ბუდე რკალშია ამოკრილი. ბეჭედი გვერდებისკენ განხიდულია. თითქოს ელიფსს მოგვაგონებს (ტაბ. 1, 6).

მსგავსი ფორმის ბეჭდები ახ. წ. I—II სს მიეკუთვნება. იხ. Henkel. Die römischen Fingerringe... ტაბ. VIII, გამ. 151, 151 a, 151 b, 153, 153 a, 153 b, 155, 155 a, 155 b.

დაცულობა: ხანგრძლივი ხმარების შედეგად ინტალიო გახეხილია. ბეჭედი კარგად არის შენახული.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—9 მმ, განი—8 მმ, ბეჭდის სიმაღლე—14 მმ, ბეჭდის ღიამ.—14—12 მმ, რკალის განი—7—3 მმ.

სამთავრო, 1940 წ., S უბანი, ქვისმარხი № 212, საველე წიგნ. S. 65. 40

№ 212—2005

ამოკრის თავისებურებისა, სტილისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ. წ. I—II სს თარიღდება.

7. (ინვ. 301) ინტალიო ღია მწვანე ფერის მინისა, ნახევრად გამჭვირვალე, ბრინჯაოს ბეჭედში ჩასმული. ინტალიოს ოვალური მოყვანილობა ჰქონდა (ამჟამად ფრაგმენტია დარჩენილი), ბრტყელია. პირზე გამოხატულია ჰერაკლე, პროფილში მარჯვნივ, მიმავალი. გამოხატულება მკრთალად ჩანს იმის გამო, რომ მინა დაზიანებულია.

ჰერაკლეს მარჯვენა მხარზე კომბალი აქვს გადებული. კომბალზე მოკლული ნემის ლომი ჰკიდია (ლომი ძალიან მკრთალად ჩანს). ეტყობა გმირს ფართო გულ-მკერდი უნდა ჰქონოდა; ხვეული თმა კეფაზე ოდნავ ჩაშლია; მოკლე წვერი აქვს. სახის ნაკვთები არ უჩანს, მკერდს ქვემოთ გმირს სხეული არ უჩანს, რადგან გემა ნაკლულია. ჩანს, გამოხატულება მთლიანად ავსებდა ინტალიოს პირს.

ინტალიო ჩამოსხმულია. ეტყობა, რომ დედანი, რომლიდანაც ოსტატს პირი აუღია, ფაქიზი ნახელავი ყოფილა. ოსტატს ჩამოსხმის შემდეგ გემა კარ-

გად დაუმუშავებია; ნაპირები კარგად აქვს შემოკეთებული. გამოხატულება დაბალი და საკმაოდ ბრტყელი რელიეფით არის შესრულებული.

ჭერაკლეს სახე ანტიკური დროის გლიპტიკურ ძეგლებზე ხშირად გვხვდება. ყველა მისი გმირობა ასახულია ამ ხნის გემებზე. მსგავსი გამოხატულება იხ. Furtwängler. Beschreibung... ტაბ. 15, გამ. 1312.

ბეჭედი ფურცლოვანი ბრინჯაოსაგან არის გაკეთებული. ვიწრო და ბრტყელი რკალი მხრებთან ფართოვდება და უშუალოდ გადადის ოვალური მოყვანილობის ბუდეში. სათვალბუდე შიგ რკალშია ამოჭრილი; ბუდეს ოდნავ შედრეკილი ძირი აქვს. თვალი და ბუდის ნაპირები ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული (სურ. 4).

ბეჭედი ახ. წ. II საუკ. თარიღდება. იხ. Henkel. Die römischen Fingerringe... ტაბ. XLVI, გამ. 1191, 1199 a, 1191 b; 1188, 1188 a, 1188 b.

დაცულობა: ინტალიოსგან $\frac{1}{3}$ არის დარჩენილი. მინა ირიზებულია; ბუდეს ნაპირი შემომტვრეული აქვს. რკალს $\frac{2}{3}$ აკლია. ბრინჯაო ზედაპირზე „დაკენკილია“.

ზომა: ინტალიოს განი—6 მმ, სიგრძე (ნარჩენისა)—8 მმ, ბეჭდის დიამ.—14 მმ, რკალის განი—5—2 მმ, ბუდის სიგრძე—9 მმ, განი—6მმ.

სამთავრო, 1940 წ., S უბანი, კრამიტსამარხი № 220, საველე წიგნ. №—S 2030.

ახ. წ. II საუკ. მიეკუთვნება.

8. (ინვ. 298) ინტალიო მოწითალო-მოყავისფრო სარდიონისა, რკინის ბეჭედში ჩასმული. ოვალური მოყვანილობისაა, ინტალიო ღრმად და მჭიდროდ ზის ბრტყელ ბუდეში.

პირზე გამოხატულია ახალგაზრდა ნილაბი, პროფილში მარჯვნივ, უწვევრო. ნილაბს საკმაოდ მაღალი თმის ვარცხნილობა აქვს. თმა საფეთქლებთან შეწეული და თითქოს გადაჭერილიაო; მაღალი ცხვირი აქვს, მკვეთრად გამოხატული ნესტოებით, დაბალი და საკმაოდ ფართო შუბლი, წინწამოწეული მოკლე ნიკაპი, სქელი ტუჩები, თმა წმინდა და ღრმა ღარებით არის გადმოცემული (მთელი თავი დასერილია თანაბარი სისქის ხაზებით); ფართოდ გაღებული თვალი მრგვალი მოყვანილობისა აქვს. გამოხატულება თითქმის მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზა ამოჭრილი, არა ღრმად. საკმაოდ წმინდა და კარგი ნახელავია, ოსტატის გამოცდილი ხელი ჩანს. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული, გამოხატულება მქრქალია, ანაბეჭდზე მკაფიო რელიეფს იძლევა.

ანალოგიური გამოხატულება იხ. Furtwängler. Beschreibung... ტაბ. 46, გამ. 6557.



სურ. 4 Рис.

ბეჭდისაგან დაქანგული ფრაგმენტია დარჩენილი, ამიტომ ფორმის ზუსტად აღდგენა ძნელია; ბუდე ოვალური მოყვანილობისაა, დაბალი. როგორც ჩანს, რკალი საკმაოდ ფართო ყოფილა, განსაკუთრებით „მხრებთან“. თვალი და ბუდის ნაპირები ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული.

დაცულობა: ინტალიო გაბზარულია სისქეში. ბეჭდისაგან დარჩენილია ძალიან დაქანგული და დეფორმირებული ფრაგმენტი. ქვა ხანგრძლივი ტარების შედეგად გახეხილია.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—9 მმ, განი—7 მმ, ფრაგმენტის სიგრძე—22 მმ.

სამთავრო, 1940 წ., S უბანი, კრამიტსამარხი № 177; საველე წიგნ. № 1822. ამავე სამარხიდან არის № 31 (ინვ. 299).

გამოხატულების სტილის მიხედვით (თმის სწორხაზოვნად გადმოცემა და სახის ნაკვთების ფართო ნაწილებად დაყოფა), ვემა ახ. წ. II საუკ. თარიღდება (შდრ. Максимова М., Геммы из некрополя Мцхеты-Самтавро-აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI B, თბ., 1950 წ., ტაბ. I, გამ. 16,19).

9. (ინვ. 305) ინტალიო ნახევრად გამჭვირვალე ცისფერი მინისა, ბრინჯაოს ბეჭედში ჩასმული; ოვალური მოყვანილობა აქვს, ბრტყელია.

პირზე გამოხატულია ზეზე მდგომი ფორტუნა, პროფილში მარცხნივ. გამოხატულება მკრთალად ჩანს. ეტყობა საკმაოდ სქემატურად ყოფილა შესრულებული. ღვთაებას გრძელი კვართი აცვია, სახის ნაკვთები არ უჩანს, თავდახრილია. ძირს დაშვებული მარჯვენა ხელით საქვს (?) ეყრდნობა, მარცხენა ხელში დიდი სიუხვის ყანწი უჭირავს; ამავე მკლავზე დახვეული წამოსასხამი აქვს გადაკიდებული.

ინტალიო ჩამოსხმულია, გამოხატულება არ არის ღრმა, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა. ოსტატობაზე ვერას ვიტყვით, რადგან ინტალიო დაზიანებულია.

თვალს წესიერი ფორმა აქვს მიცემული.

მსგავსი გამოხატულება რომაული ღროის გემებზე ხშირია. იხ. Furtwängler Beschreibung... ტაბ. 55, გამ. 7306.

ბრინჯაოს ბეჭდის ვიწრო რკალი მხრებთან ფართოვდება და ოვალური მოყვანილობის ბუდეში უშუალოდ გადადის; რკალს ბრტყელი შიდაპირი აქვს; გარედან, ქვედა ნაწილში, წიბოიანია, ბუდის ძირი ოდნავ შედრეკილია. მხრებთან რკალი ღრუ არის (ტაბ. 1, 9). მსგავსი ფორმის ბეჭდები ახ. წ. II საუკ. თარიღდება. იხ. Henkel. Die römischen Fingerringe... ტაბ. XLVI, გამ. 1192, 1192 a, 1192 b.

დაცულობა: მინა ირიზებულია, ამის გამო გამოხატულებამ სიმკვეთრე დაკარგა. ბრინჯაო დაღარული და „დაკენკილია“.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—9 მმ, განი—6 მმ, ბეჭდ. სიმაღლე—20 მმ, დიამ.—15—13 მმ, რკალის განი—5—2 მმ, ბუდის, სიგრძე—10 მმ, განი—7 მმ.

სამთავრო, 1940 წ., S უბანი, კრამიტსამარხი № 175, საველე წიგნ. № 1799.

ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ. წ. II საუკ. თარიღდება.

10. (ინგ. 302) ინტალიო მოწითალო ფერის სარდიონისა, ვერცხლის ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა. ამობურცული პირი აქვს, ბრტყელი ქვედაპირი.

პირზე გამოხატულია ძევსი, დაბალ ტახტზე ზის. ღვთაება სამი მეოთხედით მარჯვნივ არის მიბრუნებული. თავი პროფილშია მოცემული. გამოხატულება საკმაოდ სქემატურად არის შესრულებული. თავი სუმარულადაა გადმოცემული — სახის ნაკვთები გაერთიანებულია; ღვთაებას მაღალი თმის ვარცხნილობა აქვს. შუბლი, ცხვირი და პირი ერთიანი ხაზით არის გადმოცემული. მოკლე წვერი მკრთალადაა გამოხატული.

ძევსს ფართო გულ-მკერდი აქვს. წელზევით ტიტველია, ფეხებსა და მუხლებს შემოხვეული ქლამიდა უფარავს. ქსოვილის ნაკეცი სქემატურადაა გადმოცემული.

წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში ღვთაებას თასი (patera) უჭირავს. იდაყვში მოხრილი და ზეაპყრობილ მარცხენა ხელით კვერთხს ეყრდნობა.

ტახტს, რომელზედაც ძევსი ზის, სადა, მომრგვალებულკონტურებიანი ფეხები აქვს. მაღალზურგანია (ძევსის მარჯვენა ნხართან ჩანს კუთხის ნაწილი, ორ-ორი წმინდა ღარით გადმოცემული).

ღვთაების ფეხით მისი საღმთო ფრინველი — ფრთებმოკეცილი არწივია გამოხატული, რომელსაც თავი ძევსისკენ აქვს მიბრუნებული.

ნიადავის ზოლი მკვეთრად არის მოცემული. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, საკმაოდ ღრმად, მკვეთრად. ანაბეჭდზე მაღალ რელიეფს იძლევა. ნახელავი არ გამოირჩევა დიდი სიფაქიზითა და ოსტატობით; ამასთანავე მტკიცე და გაბედული ხელით არის შესრულებული. ინტალიოს ფონი კარგად არის გაპრიალელებული, გამოხატულება მჭრქალია. თვალი თანაბრად არის გათლილი.

რომაული დროის გემებზე მსგავსი გამოხატულება ხშირია. იხ. Osborne. Engraved gems... ტაბ. XXIII, გამ. 19. Furtwängler. Beschreibung... ტაბ. 23, გამ. 2593; ტაბ. 54, გამ. 7132, 7133; Walters. Engraved gems... ტაბ. XVIII, გამ. 1243; Lippold. Gemmen und Kameen... ტაბ. 2, გამ. 8. Fossing. Catalogue of antique engraved gems and cameos. Copenhagen, MCMXXXII, გამ. 528—535.

ვერცხლის ბეჭდის ვიწრო, მკრთალად დაკუთხული რკალი „მხრებთან“ ოდნავ განზიდულია. „მხრები“ რკალთან შედარებით ფართოა. ოვალური მოყვანილობის რკალი თხელ ფირფიტაში — ბუდის ძირში გადადის, რომელზედაც დაბალი ბუდე ყოფილა დარჩილული.

ბუდის ვიწრო ნაპირი ინტალიოს ქვედაპირზე იყო შემოკედილი (ტაბ. 1, 10).

დაცულობა: ინტალიო რამდენიმე ადგილას გაბზარულია სისქეში; ქვედაპირი ერთგან ატკეცილი აქვს. ქვა გახეხილია — ხანგრძლივი ტარების შედეგად.

2. მარგ. ლორაქიფანიძე



გია. ბეჭედი ოთხად არის გატეხილი; ბუდის ძირი ამოტეხილია; ნაპირები შე-
მომტვრეული აქვს.

ზომა: ინტალიოს სიგრძე — 15 მმ, განი — 13 მმ, სიმაღლე — 6 მმ, ბეჭდის
სიმაღლე — 26 მმ, დიამ. — 16 მმ, რკალის დიამ. — 2 — 5 მმ.

სამთავრო, 1940 წ., S უბანი, ქვისსამარხი № 290, საველე წიგნ.
№ 2527. ამავე სამარხიდან არის № 237.

გამოხატულების სტილის მიხედვით ინტალიო ახ. წ. II საუკ. ბოლო
წლებით თარიღდება (შდრ. Максимова, Геммы из некрополя Мухеты-
Самтавро. ტაბ. I, გამ. 15).

11. (ინვ. № 304) ინტალიო მწვანე ფერის მინისა, რკინის ბუდეში.

ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ოდნავ ამობურცული პირი აქვს.
პირზე გამოხატულია ტრაგიკული ნიღაბი, პროფილში მარჯვნივ. გამო-
ხატულება მკრთალად ჩანს.

ინტალიო ჩამოსხმულია, გამოხატულება არ არის ღრმა, ანაბეჭდზე და-
ბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა. ინტალიო ჩამოსხმის შემდეგ კარგად არის
შემოკვეთებული; სავსებით წესიერი ფორმა აქვს მიცემული.

მსგავსი გამოხატულება იხ. რომაული დროის გემებზე Furtwängler.
Beschreibung... გამ. 8293. Richter. Engraved gems... ტაბ. 80, გამ. 398.

ბეჭდისაგან დარჩენილია დეფორმირებული დაბალი ბუდე. თვალი ბუ-
დეში ღრმად არის ჩასმული. თვალისა და ბუდის ნაპირები ერთ სიბრტყეზეა
მოთავსებული.

დაცულობა: ინტალიო ირიზებულია, რის გამოც გამოხატულებამ დაკარგა
სიმკვეთრე.

ზომა: ინტალიოს სიგრძე — 6 მმ, განი — 5 მმ, ფრაგმენტის სიგრძე — 17 მმ.

სამთავრო, 1940 წ., S უბანი, კრამიტყუთი № 242, საველე წიგნ.
№ 2219.

ამავე სამარხში აღმოჩენილი გემის (№ 300) მიხედვით ინტალიო ახ. წ.
II საუკუნით თარიღდება.

12. (ინვ. № 80) ინტალიო მოყავისფრო გამჭვირვალე სარდიონისა, რკინის
ბეჭედს ამკობს.

ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბუდეში ღრმად ზის; ოდნავ ამო-
ბურცული პირი აქვს.


პირზე გამოხატულია თხა, პროფილში მარჯვნივ, თავი არ უჩანს (იმ
აღვილას ინტალიო ატკეცილია); გრძელი, სწორი მოყვანილობის რქები უკან
აქვს გადაყრილი. მაღალი კისერი და ტანი ბალნითაა დაფარული. ბალანი
ირიბი, მოკლე-მოკლე ღარებით არის გადმოცემული. სქელკუდიანია; თხას
მაღალი ფეხები აქვს. სახსრებთან ჰორიზონტალური ხაზებით გადაკვეთილი.
ჩლიქები მკვეთრადაა გამოხატული. თხა საკმაოდ მაღალი მცენარის წინ დგას.
მის ზურგს უკან მაღალი ხე ჩანს, რომლის ხშირფოთლიანი შტო მარჯვნივ
არის გადმოხრილი (თხის მიმართულებით). გამოხატულება მთლიანად ავსებს
ინტალიოს პირს.

1

1



613



3,3a




6



719



9




305



10



302



გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, მკვეთრად, საკმაოდ წმინდა ნახელავია. ჩანს ოსტატი კარგად ყოფილა დაუფლებული ქვაზე ამოჭრის ტექნიკას; ნახელავში მჭრელის გამოცდილი ხელი იგრძნობა.

ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული; გამოხატულება მკრქალია. მსგავსი გამოხატულებები რომაული დროის გემებზე ხშირად გვხვდება. იხ. Imhoof-Blumer und Otto Keller. Tier und Pflanzenbilder auf Münzen und Gemmen des Klassischen Altertums. Leipzig, 1889, ტაბ. XVIII, გამ. 3, 6; Walters. Catalogue of engraved gems. ტაბ. XXVIII, გამ. 2379.

რკინის ბეჭდისაგან დაჯანგული ფრაგმენტია დარჩენილი. ჩანს ბეჭედს ვიწრო რკალი ჰქონია, რომელიც დაბალ, ოვალური მოყვანილობის ბუდეში უშუალოდ გადადიოდა. თვალი და ბუდის ნაპირები ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული.

დაცულობა: ინტალიოს პირი ატყეცილი აქვს ისე, რომ გამოხატულება დაზიანებულია. თხას თავი არ უჩანს; პირუტყვის წინ გამოხატული მცენარის წვერო წატეხილია.

ბეჭდისაგან დარჩენილია დაჯანგული ბუდე და რკალის პატარა ნაწილი.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—10 მმ, განი—8 მმ, ბეჭდის ფრაგმენტის სიგრძე—20 მმ, განი—13 მმ.

სამთავრო, 1946 წ., № უბანი, საველე წიგნ. № 5550, აგურ-კრამიტსამარხი № 11.

სტილისა და ქვაზე ამოჭრის ტექნიკის მიხედვით ინტალიო ახ. წ. II საუკ. თარიღდება.

13. (ინვ. 616) ინტალიო მოყავისფრო სარდიონისა, რკინის ბეჭედს ამკობს; ინტალიოს ოვალური მოყვანილობა აქვს, ბრტყელია, ბუდეში ღრმად ზის.

პირზე გამოხატულია ზეზე მდგომი ჰიგიეია, პროფილში მარჯვნივ. ღვთაებას სახის ნაკვთები არ უჩანს, გრძელი კვართი აცვია. წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში თასი უჭირავს. ჰიგიეიას სხეულს გველი შემოხვევია. ქვეწარმავალს თავი თასთან აქვს მიტანილი. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, საკმაოდ მკვეთრად და არა ღრმად. ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა. გამოხატულება არ გამოირჩევა სიფაქიზით, სქემატურად არის შესრულებული. მჭრელს გამოხატულება არ გაუპრიანდება, მკრქალია, თვალი თანაბრად არას გათლილი და გაპრიალებული.

მსგავსი გამოხატულება იხ. Максимова, Геммы из некрополя Мцхеты-Самтавро. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVI B, თბ., 1950 წ., ტაბ. II, გამ. 51, 57. აგრეთვე შავი ზღვის ჩრდ. სანაპიროზე მოპოვებულ გემაზე—Kibaltchitch. Gemmes de la Russie méridionale. Berlin, 1910, ტაბ. IV, გამ. 129.

ვიწრო რკალი მხრებთან მკვეთრად ფართოვდება და საკმაოდ მაღალ ბუდეში გადადის. ბეჭედი ამჟამად დაზიანებულია.

მსგავსი ფორმის ბეჭედები ახ. წ. I—II სს. მიეკუთვნება (სურ. 8). ტაბ. 13, გამ. 616. შდრ. Henkel. Die römischen Fingerringe... გვ. 136, გამ. 1479*.

დაცულობა: ინტალიო ორად არის გატეხილი. თვალი ადგილ-ადგილ ატკეცილია მცირედ.

ბეჭედი ძალიან დაჟანგულია და საკმაოდ დეფორმირებული. რკალს $\frac{1}{3}$ მოტეხილი აქვს, აკლია (ტაბ. 2, 13).

ზომა: ინტალიოს სიგრძე—10 მმ. განი—8 მმ. ბეჭდის დიამ.—15 მმ.

სამთავრო, 1939 წ., N უბანი, საველე წიგნ. № 2712.

ინტალიო ამოჭრის თავისებურებისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ახ. წ. II საუკ. თარიღდება.

14. (ინვ. №08) ინტალიო გამჭვირვალე მინისა, ცისფერი, ბრინჯაოს ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა; პირი ბრტყელი აქვს. თხელი ფენისაგან არის გაკეთებული.

პირზე ორი, ერთმანეთის პირდაპირ მდგომი ქალღმერთია გამოხატული. მარჯვნივ, პროფილში მარცხნივ მდგომი ფორტუნა არის, მარცხნივ—ნემეზიდა. გამოხატულება ძალიან მკრთალად ჩანს.

ფორტუნას გრძელი უსახელო კვართი აცვია. მარჯვენა ხელით გუთანს ეყრდნობა. მარცხენა ხელში დიდი ზომის სიუხვის ყანწი უჭირავს. ნემეზიდა ფრთოსანია, გრძელი პეპლოსი აცვია. პეპლოსის ზედა ნაწილი მარჯვენა ხელით უჭირავს; ძირს დაშვებულ მარცხენა ხელში სასწორი აქვს. ღვთაებებს შორის, თავების გასწვრივ, ამოკვეთილია ნახევარი მთვარე. ნიადაგის ზოლი მკვეთრად არის მოცემული.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს. ინტალიო ჩამოსხმულია. გამოხატულებას ეტყობა, რომ თავის ღრობზე მკვეთრი და საკმაოდ ფაქიზი ნაკეთები იქნებოდა; თვალს სავსებით წესიერი ფორმა აქვს. ჩამოსხმის შემდეგ კარგად არის დამუშავებული. მსგავსი გამოხატულება იხ. Furtwängler. Beschreibung... ტაბ. 54, გამ. 7167. ნემეზიდა შდრ. ამავე შრომაში ტაბ. 55, გამ. 7336.

ბრინჯაოს ბეჭედი თხელი ფურცლისაგან არის გაკეთებული. ვიწრო რკალი მხრებთან მკვეთრად ფართოვდება და უშუალოდ გადადის ბუდეში. ბეჭედი გვერდებისაკენ განხიდულია, მხრებთან ღრუ არის; ბუდეს შედრეკილი ძირი აქვს. რკალი ბრტყელშიდაპირიანია. თვალისა და ბუდის ნაპირები ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული (ტაბ. 2, 14). მსგავსი ფორმის ბეჭდები ახ. წ. II საუკ. თარიღდება. იხ. Henkel. Die römischen Fingerzinge... ტაბ. XLXI, გამ. 1191, 1191 a, 1191 b; გამ. 1188, 1188 a, 1188 b.

დაცულობა: ინტალიო სიგანეზე გაბზარულია ცერად მთელ სისქეში. მინა ძალზე ირიზებულია, ამის გამო გამოხატულება მკრთალად ჩანს. პატინას ბეჭედი ადგილ-ადგილ დაუზიანებია; ბუდეს ძირი ამოტეხილი აქვს.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—11 მმ, განი—9 მმ, ბეჭდის სიმაღლე—21 მმ, დიამ.—19—16 მმ, ბუდის სიგრძე—12 მმ, რკალის განი—8— $1\frac{1}{2}$ მმ.

სამთავრო, 1840 წ., S უბანი, კრამიტსამარხი № 182, საველე წიგნ. № 1837.

ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ. წ. II საუკ. მიეკუთვნება.

15. (ინვ. 583) ინტალიო მუქი ყავისფერი სარდერისა, ბრინჯაოს ბეჭედში ჩასმული. ინტალიო მაღალია, ქვედაპირისკენ ოდნავ ფართოვდება; ბრტყელი პირი აქვს. ოვალური მოყვანილობისაა. პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი დაქანებულია.

პირზე გამოხატულია ნახევარი მთვარე და ექვსქიმიანი ვარსკვლავი. გამოხატულება საკმაოდ სქემატურია. ვარსკვლავს ურთიერთგადამკვეთი სწორი ღარები გამოხატავს. მთვარე ფართოა და ღრმა ღარით არის გადმოცემული. ვარსკვლავის ქამები არ არის თანაბარი სიგრძისა, დიდ-პატარაა.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი მკვეთრად. მთვარე ღრმად არის ნაკვეთი; ვარსკვლავის გამოხატვისას ოსტატს ქვის თხელი ფენა ამოუკვეთია. ტლანქი ნახელავია. თვალი თანაბრად არის გათლილი და გაპრიალეებული. გამოხატულება მჭკქალად არის დატოვებული.

მსგავსი გამოხატულება ხშირად გვხვდება რომაული დროის გემებზე, მონეტებზე და ქვის ძეგლებზე. იხ. Reinach. Pierres graveés. ტაბ. 69, გამ. 892 (მთვარის ირგვლივ რამდენიმე მნათობია). Fossing. Catalogue of the antique engraved gems and cameos. ტაბ. XVIII, გამ. 1597, 1599, 1699, 1600. Imhoof-Blämer. Kleinasiatische Münzen. B. I, ტაბ. VII, Br. 6. Mattingly and Sidenham. Roman Imperial coinage. v. II, ტაბ. XIII, გამ. 251. v. III, ტაბ. XI, გამ. 233.

ბრინჯაოს ბეჭდის ოვალურ ბუდეში თვალი მაღლა ზის. გვერდებისკენ განზიდული ვიწრო რკალი მკვეთრად გამოხატულ მაღალ მხრებში გადადის (სურ. 5); ბეჭედს ჰორიზონტალური მხრები აქვს, რომელიც უშუალოდ დაბალ ბუდეში გადადის. რკალი გარედან წახნაგია. ბუდის ძირი ცენტრში ოდნავ ამობურცულია.



სურ. 5 Рис.

ამგვარი ტიპის ბეჭედები ახ. წ. III საუკუნით თარიღდება. Henkel. Die römischen Fingerringe... ტაბ. XI, გამ. 221, 221 a, 221 b.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული. ბეჭედი გატეხილია. რკალს $\frac{1}{3}$ მოტეხილი და დაკარგული აქვს.


ზომა: ინტალიოს სიგრძე—6 მმ, განი—5 მმ, სიმაღლე—2 მმ. ბეჭდის დიამეტრი—15 მმ, რკალის განი—2 მმ, ბუდის სიმაღლე—2 მმ.

სამთავრო, 1947 წ., № უბანი, აგურ-კრამიტსამარხი № 2, საველე წიგნ. № 5450.

ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ. წ. III საუკ. თარიღდება.

16. (ინგ. 612) ინტალიო ლუქისებრი წითელი იასპისა, ბრინჯაოს ბეჭედს¹ ამკობს. ინტალიოს წაკვეთილი კონუსის მოყვანილობა აქვს, ოვალურია, ბრტყელპირიანი. თვალი ბუდეში მალლა ზის.

პირზე გამობატულია გრიფონი, პროფილში მარჯვნივ, უკანა ფეხებზე ზის. გრიფონის თავი სქემატურად არის შესრულებული, საკმაოდ მოზრდილი ნისკარტი რამდენიმე პატარა ხაზითაა გადმოცემული. ხშირი, მორკალური ღარებისაგან შედგენილი ფრთა თავის მიმართულებით არის მოხრილი; სწორი ხაზით გადმოცემული გრძელი კუდი ზევით აქვს აშვერილი (ბოლო ინტალიოს ნაპირს ეხება) (სურ. 6).



სურ. 6 Рис.

გრიფონი მარჯვენა წინა თათით ბორბალს ეყრდნობა. ოთხსოლიანი ბორბალი უწყესო ფორმისაა, თითქოს ოვალური მოყვანილობისა; გამობატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამობატულება დაზგაზეა ამოჭრილი ღრმად. ანაბეჭდზე მალალ რელიეფს იძლევა. თამამი ხელით შესრულებული ნახელავი არ გამოირჩევა დიდი სიფაქისითა და ოსტატობით. გამობატულება საკმაოდ სქემატურია. ქვა თანაბრად არის გათლილი და გაპრილებული გამობატულებითურთ.

მსგავსი გამობატულებები იხ. რომაული დროის გემებზე. Furtwängler. Baschreibung... ტაბ. 27, გამ. 3330; ტაბ. 58, გამ. 7967. Osborne. Engraved gems. ტაბ. XXIX, გამ. 18. Reinach Pierres graveés. ტაბ. 72, გამ. 948.

გვერდებისაკენ განზიდული რკალი „მხრებთან“ ფართოვდება და ოვალური მოყვანილობის მეტად დაბალ ბუდეში უშუალოდ გადადის. ბუდე შიგ რკალშია (ბეჭედში) ამოჭრილი. ბეჭდის რკალი ბრტყელია და თხელი; ფართო ძირი აქვს. ბეჭედი ელიფსისებრი მოყვანილობისაა (ტაბ. 2, 14). მსგავსი ფორმის ბეჭედები ახ. წ. III საუკ. თარიღდება. იხ. Henkel. Die römischen Fingerringe... ტაბ. XLVII, 1213, 1213 a, 1213 b, ტაბ. XXXV, გამ. 919, 919 a, 919 b.

დაცულობა: თვალი ადგილ-ადგილ ატკეცილია მცირედ.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—11 მმ, განი—10 მმ, სიმაღლე—4 მმ, ბეჭდის სიმაღლე—20 მმ, დიამ.—16—14 მმ.

მცხეთა, სტალინის ქ. № 34, 1948 წ., კრამიტსამარხი № 3, საველე წიგნ. № 77. ამავე სამარხიდან არის № 17.

სტილისტური თავისებურებისა, ქვაზე ამოჭრის ტექნიკისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით, ინტალიო ახ. წ. III საუკ. თარიღდება.

¹ ბეჭედი გამოცემულია, იხ. ა. კალანდაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 277, განსახლება ჩვენია.

17. (ინვ. 611) ბეჭდის ფრაგმენტი — ინტალიო. ბრინჯაოსი, ინტალიოს ამოხნეკილი პირი აქვს (გამოხატულება ბეჭდის ფარზეა ამოჭრილი).

პირზე გამოხატულია თანაბარი სიმაღლის ორი წიწვიანი მცენარე. მცენარის შტოები საკმაოდ სიმეტრიულად არის განლაგებული. გამოხატულება მეტად სქემატურადაა შესრულებული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი არა ღრმად, მაგრამ მკვეთრად; ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა.

ბეჭედი საკმაოდ სქელი ფირფიტისაგან არის გაკეთებული. განიერი რკალი უშუალოდ გადადის ოვალურ ინტალიოში; ინტალიოს შედრეკილი ძირი აქვს.

დაცულობა: ბეჭდისაგან ნაპირებშემომტვრეული ფრაგმენტია დარჩენილი.

ზომა: ინტალიოს განი—7 მმ, ფრაგმენტის სიგრძე—15 მმ.

მცხეთა, სტალინის ქ. № 34, 1948 წ., კრამიტსამარხი № 3, საველე წიგნ. № 78.

ამავე სამარხიდან აღმოჩენილი ბეჭდის № 612 მიხედვით ინტალიო ახ. წ. III საუკ. თარიღდება.

18. (ინვ. 608) ინტალიო წითელი ფერის სარდიონისა, ვერცხლის ბეჭედშია ჩასმული. ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი პირი აქვს. პირზე გამოხატულია ზეზე მდგომი ტიხე-ფორტუნა, ღვთაების მარჯვნივ მიბრუნებულ თავს დაბალი მოდა ამკობს; თმა თავის ირგვლივ აქვს ჩახვეული. სახე სქემატურად არის შესრულებული — პირი, ნიკაპი და ცხვირის ქვედა ნაწილი არა ღრმა, მოკლე-მოკლე ხაზებით არის გადმოცემული. ქალღმერთს გრძელი უსახელო კვართი აცვია. ფეხის ტერფები მკვეთრადაა გამოხატული. ფორტუნა წინ გაწვდილ მარჯვენა ხელით საჭეს ეყრდნობა. მარცხენა ხელში დიდი ზომის სიუხვის ყანწი უჭირავს, ამავე მკლავზე დახვეული წამოსასხამი აქვს გადაკიდებული (წყვეტილი ღარით შესრულებული). ღვთაების ფეხთ შორის ნიადაგის ზოლი ჩანს. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, ღრმად და მკვეთრად. ანაბეჭდზე მაღალ რელიეფს იძლევა. გაბედული ხელითაა შესრულებული, გამოხატულება ტლანქია. ინტალიო ძალიან კარგად არის გაპრიალებული. გამოხატულება ოსტატს მჭრქალად დაუტოვებია. ანალოგიური გამოხატულება რომაული დროის გემებზე ფართოდ არის გავრცელებული. იხ. Furtwängler. Beschreibung... ტაბ. 23, გამ. 2560. Furtwängler. Antiken Gemmen. ტაბ. XLIV, გამ. 7273; Richter. Catalogue of engraved gems. ტაბ. 79, გამ. 373 (შავი ზღვის ჩრდ. სანაპიროს გემებზე, ტაბ. III, გამ. 104, 105. Kibaltchitch. Gemmes de la Russie méridionale). სამთავროს სამაროვანში მოპოვებულ გემათაგან იხ. Максимова М., დასახ. ნაშრ., ტაბ. I, გამ. 23, 24, 25 (სტილისტურად განსვავდება).

ვერცხლის ბეჭდის გვერდებისაკენ განზიდული რკალი ოთხწახნაგანია, მკვეთრად გამოხატული კონტურებით; ბეჭედს მაღალი, ჰორიზონტალური

მხრები აქვს. მხრებთან რკალი ფართოვდება და მსხვილდება, იგი ოვალური მოყვანილობის დაბალ ბუდეში გადადის. ტაბ. 2, 18. ბუდე ოდნავ შედრეკილ-ძირიანია, დაბალი. მსგავსი ფორმის ბეჭდები ახ. წ. III საუკ. თარიღდება. იხ. Henkel. Die römischen Fingerringe... ტაბ. X, გამ. 220, 220 a, 220 b; ტაბ. XXII, გამ. 433, 433 a, 433 b. Marshall. Catalogue of the finger rings. London, 1907, ტაბ. XV, გამ. 526. მაქსიმოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 254, გამ. 6.

დაცულობა: ინტალიო ერთგან გაბზარულია სისქეში. ვერცხლი მყიფეა, ბუდის ნაპირები ადვილ-ადვილ შემომტვრეული აქვს.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—11 მმ, განი—8 მმ, ბეჭდის სიმაღლე—21 მმ, დიამ.—16—14 მმ. ბუდის სიკ.—3,5 მმ, თვალის განი—5 მმ.

მცხეთა, სტალინის ქ. № 34, 1947 წ., აგურ-კრამიტსამარხი № 1, სველე წიგნ. № 31. ამავე სამარხიდან არის №№ 607, 609, 610.

გამოხატულების სტილის, ამოჭრის ტექნიკის, ბეჭდის ფორმისა და მასთან ერთად აღმოჩენილი გემების მიხედვით ინტალიო ახ. წ. III საუკ. თარიღდება.

19. (ინვ. 607) ინტალიო წითელზოლიანი მუქი ნარინჯისფერი სარდონისა, ვერცხლის ბეჭედს ამკობს. ოვალური მოყვანილობის ინტალიო ქვედაპირისკენ ფართოვდება. პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი დაქანებულია; ინტალიოს ოდნავ ამობურცული პირი აქვს.

პირზე გამოხატულია ნიკა და ტიხე-ფორტუნა, რომლებიც ერთმანეთის პირდაპირ დგანან. სახეები ღვთაებებს იმდენად სქემატურად აქვთ შესრულებული, რომ ნაკვთების ცალ-ცალკე გამოყოფა და გარჩევა შეუძლებელია. ნიკას თეძოებთან გადმოფენილი უსახელო პეპლოსი აცვია. სამოსი ღვთაებას კოჭებამდე წვდება. პეპლოსის ბოლო ჰაერში ფრიალებს; ნიკას თმა თავის ირგვლივ აქვს ჩახვეული, დაბალი კისერი სქელი ღარითაა გადმოცემული; სქემატურად შესრულებული გრძელი ფრთა მოკიცილი და ძირს დაშვებული აქვს. ღვთაებას ზეაპყრობილ მარცხენა ხელში ბაბთებით შემკული მრგვალი გვირგვინი უჭირავს, რომელიც მის წინ მდგომ ფორტუნას უნდა დაადგას თავზე. ძირს დაშვებული მარჯვენა ხელი სქელი ღარითაა გადმოცემული.

ფორტუნას თავი ნიკასაკენ აქვს მიბრუნებული (მარჯვნივ). ქალღმერთს გრძელი უსახელო კვართი აცვია, თავზე მოდა ადგია. ძირს დაშვებული მარჯვენა ხელით მის ფეხით მდგომ საჭეს ეყრდნობა; მარცხენა ხელში დიდი ზომის სიუხვის ყანწი უჭირავს; ამავე მკლავზე დახვეული წამოსასხამი აქვს გადაკიდებული. ნიადაგის ზოლი მკვეთრად ჩანს.

გამოხატულება მთლიანად ავსებს გემის პირს.

ნიკას და ფორტუნას დაკავშირება ომში გამარჯვების, ომის კეთილად დამთავრების სიმბოლოა.

გამოხატულება დაზვაზვა ამოჭრილი ღრმად და მკვეთრად, ანაბეჭდზე მაღალ რელიეფს იძლევა. გულმოდგინედ და მტკიცე ხელით შესრულებული გამოხატულება არ გამოირჩევა სიფაქიზით, ტლანქია. სქემატურად შესრულებული გამოხატულება მჭრელს არ გაუპრიალეზია, მჭრქალია. იგი განსა-


13



616




14



303




16



612



18



608



19



607



კუთრებით გამოირჩევა ზედმიწევნით გაპრიალებულ პირზე. ქვა თანაბრად არის გათლილი. რომაული დროის გემებზე ანალოგიური სიუჟეტი ხშირად გვხვდება. იხ. Furtwängler. Beschreibung... ტაბ. 23, გამ. 2571. Osborne. Engraved gems. ტაბ. XXIX, გამ. 7; Richter. Catalogue of engraved gems. ტაბ. 79, გამ. 379; Reinach. Pierres gravées. ტაბ. 50, გამ. 13¹ (ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის გემებიდან Kibaltchitch. Gemmes de la Russie méridionale. ტაბ. IV, გამ. 115).

გვერდებისაკენ განზიდული ოთხწახნაგა რკალი მხრებთან ფართოვდება და ოვალური მოყვანილობის ბუდეში გადადის; ბეჭედს მალალი ჰორიზონტალური მხრები აქვს. ტაბ. 2, 19. რკალის წიბოები, მკვეთრადაა გამოყვანილი. დაბალი ბუდის ძირი ბრტყელია. ბეჭედი მასიურია.

მსგავსი ფორმის ბეჭედები ახ. წ. III საუკ. თარიღდება. იხ. Henkel-დასახ. ნაშრ., ტაბ. XXII, გამ. 433, 433 a, 433 b; ტაბ. XLVIII, გამ. 1258, 1258 a, 1258 b, 1267, 1267 a, 1267 b.

დაცულობა: საკმაოდ კარგად შენახული თვალი ბუდიდან ამოვარდნილა. ვერცხლი ძალზე მყიფეა. თვალბუდე დამტვრეულია, თვალს ერთგან მცირე ბზარი აქვს, რამდენიმე ადგილას—პაწია ანატეცი.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—22 მმ, განი—19 მმ. სიმაღლე—4 მმ, ბეჭდის სიმაღლე—27 მმ, დიამ.—19—16 მმ, ბუდის სიმაღ.—4 მმ.

მცხეთა, სტალინის ქ. № 34, 1947 წ., აგურ-კრამიტსამარხი № 1, სველე წიგნ. № 31. ამავე სამარხიდან არის №№ 608, 609 და 610.

სტილის, დამუშავების ტექნიკისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ. წ. III საუკ. თარიღდება.

20. (ინვ. 610) ინტალიო—ფრაგმენტი, მოწითალო ფერის სარდიონისა. გემისაგან პატარა ნატეხია დარჩენილი ისე, რომ ფორმის ზუსტი აღდგენა ძნელია. თვალი ოვალური მოყვანილობის უნდა ყოფილიყო; ინტალიოს ბრტყელი ქვედაპირი ჰქონია. პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი მალალია, მკვეთრად დაქანებული.

პირზე ადამიანის თავი ყოფილა გამოხატული, ამჟამად მხოლოდ კეფა ჩანს. შესაძლებელია რომელიმე ღვთაება იყოს, სახელდობრ, ცერერა, რომლის თავს პურის თავთავებისაგან შედგენილი გვირგვინი ამკობს. თმა ზედმიწევნით ფაქიზად და ოსტატურად არის დამუშავებული. გამოხატულებას გარს უვლის ვიწრო და ბრტყელი ნაპირი.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არა ღრმად და მკვეთრად, წმინდა და ოსტატური ნახელავია. ქვა ძალიან კარგად არის გაპრიალებული, ელვარებს. ოსტატს თმა და გვირგვინი მქრქალად დაუტოვებია.

დაცულობა: გემისაგან დარჩენილია მეტად პატარა ზომის ნატეხი.

ზომა: ნატეხის სიგრძე—7 მმ, განი—7 მმ, სიმაღლე—2 მმ.

მცხეთა, სტალინის ქ. № 34, 1947 წ., აგურ-კრამიტსამარხი № 1, სველე წიგნ. № 40.

გემასთან ერთად ამავე სამარხში მოპოვებული ბეჭდების №№ 607, 608. მიხედვით, ინტალიო ახ. წ. III საუკ. მიეკუთვნება.

21. (ინვ. 609) კამეა მუქი ცისფერი მინისა; მრგვალი მოყვანილობის მაღალ სამკაულს ორი დიდი ურთიერთგადამკვეთი ნახვრეტი აქვს გაკეთებული ზონრის გასაყრელად. სამკაული ან საკიდად იყო გამოყენებული ანდა ტანსაცმლის მოსართავად. სამკაული ბრტყელქვედაპირიანია.

პირზე გამოხატულია ხუთნაკვთიანი ლეღვის ფოთოლი დაბალი და ბრტყელი რელიეფით. ფოთლის დაკბილული ნაპირები ფაქიზად არის დამუშავებული. ლეღვის ფოთლის მთავარი ძარღვი მკვეთრადაა გამოხატული. ყუნწი არ ჩანს, იმ ადგილას გამოხატულება ატკეცილია.



სურ. 6 a Рис.

სამკაული—კამეა ჩამოსხმულია; სუფთა და ფაქიზად ნაკეთები. ჩამოსხმისა და ყალიბიდან ამოდების შემდეგ ოსტატს გამოხატულება საჭრისით დაუმუშავებია; სამკაულს სავსებით წესიერი ფორმა აქვს (სურ. 6 a).

მსგავსი გამოხატულება რომაული დროის თიხის კურკელზე ხშირად გვხვდება. სახელდობრ, ახ. წ. III საუკ. კურკელზე გავრ-

ცელებული მოტივია. იხ. Walters. Catalogue of Roman pottery in the Department of antiquities. Britische Museum. London, 1908. გვ. 198, 207, 203, გამ. 171, M. 1031, გამ. 179, M. 1079, გამ. 175, 1060.

დაცულობა: სამკაული რამდენიმე ადგილას გაბზარულია, ზოგან ამოტეხილია. ადგილ-ადგილ ანატკეცები აქვს.

ზომა: სიმაღლე—10 მმ, დიამ.—30 მმ, ნახვრეტის დიამ.—6 მმ.

მცხეთა, სტალინის ქ. № 34, 1947 წ., აგურ-კრამიტსამარხი № 1, საველე წიგნ. № 39.

კამეა ახ. წ. III საუკ. მიეკუთვნება. ამგვარ დათარიღებას ხელს უწყობს სამარხში აღმოჩენილი გემებიც №№ 607, 608, 610.

22. (ინვ. 600) ინტალიო მოწითალო ფერის სარდიონისა; ქვას სისქეში შავი ლაქები აქვს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ქვედაპირისაკენ ფართოვდება. პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი ოდნავ დაქანებულია; ინტალიოს ბრტყელი პირი აქვს, ასეთივეა ქვედაპირი.

პირზე გამოხატულია პანი, პროფილში მარცხნივ, მიმავალი. სახე ძალზე სუმარულად არის გადმოცემული. შუბლი, ცხვირი და პირი თითქმის გაერთიანებულია. რქები ძალზე მკრთალად ჩანს; მაღალი თმის ვარცხნილობა აქვს. წვერი საკმაოდ ღრმა ღარით არის გადმოცემული.

პანს წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში მოკაუჭებული ტორი უჭირავს, მარჯვენა ფეხი სახსარში მოხრილი აქვს. ბალანი ხშირი და მოკლე-მოკლე ღარე-

ბით არის გადმოცემული. გრძელი კუდი ზევით აქვს აწეული. დონიჯშემო-
ყრილია. გამობატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამობატულება დაზგაზეა ამოჭრილი, მკვეთრად და არა ღრმად. ანა-
ბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა. ნახელავი არ გამოირჩევა დიდი სიფაქიზით
მიუხედავად იმისა, რომ გულმოდგინედ არის შესრულებული. იგრძნობა ოსტა-
ტის გაბედული და მტკიცე ხელი, სქემატური ნაკვეთია. ქვა კარგად არის
გათლილი და გაპრიალებული. გამობატულება მჭრელს მჭრქალად დაუტოვე-
ბია. მსგავსი გამობატულებები იხ. Reinach. Pierres graveés. ტაბ. 43, გამ.
89¹; ტაბ. 42, გამ. 89¹. Walters. Engraved gems... ტაბ. XXI, გამ. 1606 (სტი-
ლისტური მსგავსება) Furtwängler. Beschreibung... ტაბ. 49, გამ. 6767; ტაბ. 50,
გამ. 6842; ტაბ. 17, გამ. 1725; ტაბ. 25, გამ. 2962.

დაცულობა: ინტალიო სისქეში ორგან გაბზარულია ცერად. ქვედაპირი
რამდენიმე ადგილას ატკეცილი აქვს. პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი
წახნაგი ერთგან ჩამომტვრეულია.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—10 მმ, ვანი—7 მმ, სიმაღლე—3 მმ.

სამთავრო, 1948 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 711, საველე წიგნ. № 6333.
ამავე სამარხიდან წარმოდგება პართული გემა № 605.

გამობატულების სტილისა და ქვაზე ამოჭრის ტექნიკის მიხედვით ინტა-
ლიო ახ. წ. III საუკ. მიეკუთვნება.

23. (ინვ. 237) ინტალიო ნახევრად გამჭვირვალე ნარინჯისფერი სარ-
დიონისა, ვერცხლის ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა,
ბრტყელი პირი აქვს.

პირზე გამობატულია ნემეზიდა, პროფილში მარცხნივ. ღვთაებას გრძელი
პეპლოსი აცვია, ნაოჭები ღრმა ღარებით არის გადმოცემული; ნემეზიდას თვა-
ლები ახვეული აქვს. თვალსახვევი კეფაზე შეკრულია. მისი გრძელი ბო-
ლოები ბეჭედს წვდება. ღვთაებას ძირს ჩაშვებულ მარჯვენა ხელში უჭირავს
სასწორი, იდაყვში შობრილი და მკერდთან მიჩანილი მარჯვენა ხელით—პეპლო-
სის ზედა ნაწილი. გამობატულება მეტად სქემატურად არის შესრულებული.
ნიადაგის ზოლი მკვეთრად არის მოცემული.

გამობატულება დაზგაზეა ამოჭრილი, მკვეთრად, არ არის ღრმად ნაკვე-
თი. ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა. ტლანქი ნახელავია. თვალი კარგად
არის გათლილი და ზედმიწევნით გაპრიალებული. გამობატულება ოსტატს
მჭრქალად დაუტოვებია. მსგავსი გამობატულება იხ. რომაული დროის გემებზე.
Furtwängler. Beschreibung... ტაბ. 55, გამ. 7333, Walters. Engraved gems...
ტაბ. XXII, გამ. 1695.

ბეჭედი გვერდებისკენ ოღნავ განზიდულია, რკალი მხრებთან ფართოვ-
დება და ოვალური მოყვანილობის ბუდეში გადადის. ბუდე დაბალია, მისი
ნაპირები თვალზე მჭიდროდ არის შემოჭედილი; რკალს გარედან მკრთალი
წახნაგი აქვს გამოყვანილი, ბრტყელშიდაპირიანია (ტაბ. 3, 23).

მსგავსი ფორმის ბეჭედები ახ. წ. III საუკ. თარიღდება. იხ. Henkel. Die
römischen Fingerringe... ტაბ. XXII, გამ. 431, 431 a, 431 b.

დაცულობა: პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი ერთგან გაბზარულია სისქეში, ბეჭედი ძალიან დაქანგული და დეფორმირებულია.

ზომა: ინტალიოს სიგრძე — 8 მმ, განი — 5 მმ, ბეჭდის სიშ. — 21 მმ, დიამ. — 18—15 მმ, ბუღის სიშ. — 2 მმ, სიგრძე — 11 მმ, განი — 8 მმ, რკალის განი — 5 მმ.

სამთავრო, 1940 წ., S უბანი, ქვისსამარხი № 290, საველე წიგნ. № 2528. ამავე სამარხიდან არის № 302.

გამოხატულების სტილისა, ქვაზე ამოჭრის ტექნიკისა და ბეჭდის¹ ფორმის მიხედვით გემა ახ. წ. III საუკ. დასაწყისით თარიღდება.

ვ) ბიზანტიური

24. (ინგ. 208) ინტალიო—ბეჭედი, ბრინჯაოსი. ოვალური მოყვანილობის ინტალიო ბრტყელია, იგი რკალში გადადის.

პირზე, ცენტრში, გამოხატულია თავდახრილი დედალი ფარშავანგი, პროფილში მარცხნივ. ფარშავანგის სხეული გულამოღებული წერტილებით არის შემკული, მოკლე ბოლო ძირს აქვს დაშვებული, თითები მკვეთრადაა გამოხატული. ფარშავანგის უკან ფრთებმოკეცილი ყანჩა დგას, თავი სუმარულად აქვს შესრულებული.

ფარშავანგის თავს ზემოთ პატარა ზომის ფრინველია გამოხატული; ფრინველს ბოლო ფართოდ აქვს გაშლილი. პირის კიდესთან, პაწია ფრინველსა და ყანჩის თავს შორის ამოჭრილია ორი ბერძნული ასო K^o. გამოხატულება მთლიანად აქვს ინტალიოს პირს.

ბერძნული მონოგრამიანი ბეჭდები იხ. Dalton. Franks Bequest catalogue of the finger rings. London, 1912. №№ 90 156 და სხვა. ავტორი მათ ბიზანტიურად თვლის.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი არა ღრმად და მკვეთრად, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა. ნახელავი არ გამოირჩევა დიდი სიფაქიზით.

ბეჭდის ბრტყელი ფარი ვიწრო და ბრტყელ რკალში გადის. რკალი ქვედა ნაწილში განზიდულია, მხრებთან რკალი ოდნავ ფართოვდება (ტაბ. 3, 24).

მსგავსი ბეჭდები ახ. წ. IV საუკ. თარიღდება. იხ. Henkel. მით. ლიტ., ტაბ. XLIII, გამ. 1084, 1084 a, 1084 b.

დაცულობა: რკალი ერთგან გატეხილია.

ზომები: ინტ. სიგრძე—12 მმ, განი—11 მმ, ბეჭდის სიშ.—21 მმ, დიამ.—18 მმ, რკალის განი—3—2 მმ.

სამთავრო, 1940 წ., N უბანი, ქვაყუთი № 395, საველე წიგნ. №№ 3320.

მსგავსი მონოგრამიანი საბეჭდავი ბეჭდები ბიზანტიურად არის ცნობილი და ახ. წ. IV საუკ. თარიღდება.

¹ ბეჭედი გარდამავალი ფორმისაა—სადა ბეჭდიდან „მხრებიანში“ გადადის. ჰორიზონტალური მხრები აქ ჯერ კიდევ მკრთალად არის გამოყვანილი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ბეჭედს მხოლოდ სამხრეები ეტყობა.

II. ალმოსავლური ჯგუფის გემები

ა. ადგილობრივი გემები

25. (ინვ. №21) ინტალიო—საბეჭდავი, ცისფერი მინისა. მრავალწახნაგა საბეჭდავი პარალელოპიპედის ფორმისა; სწორკუთხედი მოყვანილობის, პირი ბრტყელი აქვს, ზურგი წაკვეთილი პირამიდაა. საბეჭდავს მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. წახნაგები საკმაოდ მკვეთრად არის გამოხატული. საბეჭდავი სამაჯურად ან საკიდად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

პირზე გამოხატულია მხედარი, პროფილში მარცხნივ. ცხენი ოთხით მიდის. მოძრაობის სისწრაფისაგან მხედრის წამოსასხამი ჰაერში ფრიალებს. გამოხატულება ძალიან ბუნდოვნად არის გამოსული, ცალკეული დეტალების გარჩევა ძნელდება.

საბეჭდავი ყალიბშია ჩამოსხმული, გამოხატულება მკრთალადაა გამოსული, არ არის ღრმა (სურ. 6b). ანაბეჭდზე ძალიან დაბალ რელიეფს იძლევა. ყალიბიდან ამოღების შემდეგ ოსტატს საბეჭდავი კარგად დაუმუშავებია.

მსგავსი ტექნიკით დამუშავებული საბეჭდავები საქართველოს ტერიტორიაზე არა ერთხელ აღმოჩენილა. ისინი ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავებს წარმოადგენს (მოპოვებულია სამთავროში, წალკაში, გორის რაიონში, სამხრ. ოსეთში და კლდეეთში) და ადგილობრივად დამზადებულ საბეჭდავებად არის ცნობილი. იხ. Максимова М., Стекланные многогранные печати найдены на территории Грузии. ენიმკის მოამბე, X, თბ., 1941 წ.

დაცულობა: საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატკეცილია; პირი ზოგან ამოტეხილი აქვს ისე, რომ გამოხატულება დაზიანებულია (მხედრის წინ არის ანატეცი). ზომები: სიგრძე—19 მმ, განი—12 მმ, სიმაღლე—7 მმ, ნახვრ. დიამ.—3 მმ.


სამთავრო, 1940 წ., S უბანი, კრამიტყუთი № 211, საველე წიგნ. № 1957. ამავე სამარხიდან არის № 319.

ანალოგიური მასალის საფუძველზე საბეჭდავი ძვ. წ. I საუკ. თარიღდება.

26. (ინვ. №19) ინტალიო—საბეჭდავი, შავი ფერის გველასაგან გაკეთებული, ზოგან მუქი ნაცრისფერია.

საბეჭდავი სკარაბეოიდის ფორმისაა. ამოზურცულ ზურგს მთელ სიგრძეზე ორი პარალელური ღარი ჰკვეთს. ზურგის კიდესთან (პარალელური ღარები პერპენდიკულარულად აქეთ-იქით) ამოკვეთილია თითო მოკლე ღარი. სკარაბეოიდის ზურგი ძალზე სქემატურად შესრულებული სკარაბეის ზურგს მოგვაგონებს; საბეჭდავს ოვალური მოყვანილობის ბრტყელი პირი აქვს (ტაბ. 3, 26).

გამოხატულება მეტად სქემატურად არის შესრულებული. პირზე გეომეტრიული სახეა ამოკვეთილი, საკმაოდ ბუნდოვანი და გაურკვეველი. სწორ



სურ. 6b Рис.

ხაზს „ორკაპი“ ღარები ჰკვეთს, ზოგან მორკალური ღარია ამოკვეთილი. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზე ამოჭრილია საკმაოდ დაუდევრად.

ამ ტიპის გამოხატულებები, მაგრამ სხვა სახისა, საკმაოდ ხშირია გეომეტრიული სტილის პერიოდის გემებზე. იხ. Furtwängler. Beschreibung..., Walters. Engraved gems და სხვ.

დაცულობა: საბეჭდავი რამდენიმე ადგილას გაბზარულია; პირი ორგან ამოტეხილი აქვს.

ზომები: სიგრძე—20 მმ, განი—18 მმ, სიმაღლე—8 მმ, ნახვრეტის დიამ.—3 მმ.

საბეჭდავი თავისი ფორმით მცირეაზიურ საბეჭდავების მიმბაძველობას წარმოადგენს.

სამთავრო, 1940 წ., S უბანი, კრამიტსამარხი № 211, საველე წიგნ. № 1958.

ამ საბეჭდავთან ერთად აღმოჩენილი № 321 მინის ჩამონასხამის თარიღის მიხედვით იგი ძვ. წ. I ს. უნდა ეკუთვნოდეს.

27. (ინვ. 300) ინტალიო მოწითალო ფერის სარდიონისა, პაწია შავი ლაქით სისქეში. რკინის ბეჭედში ჩასმული ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა; ამობურცული პირი აქვს. ქვედაპირი ცენტრში წაკვეთილი და გაბრტყელებულია. გაბრტყელებული ნაწილი უწესო ოვალის მოყვანილობისაა.

პირზე გამოხატულია ძროხა, პროფილში მარჯვნივ, ხბოს აწოვებს. ძროხას კობტა მოყვანილობის თავი აქვს, სწორი და პატარა რქები, მკვეთრად გამოხატული მოზრდილი ყური, დიდი ამობურცული თვალი; მაღალი ფეხები მკვეთრად გამოხატული ჩლიქებით. გრძელი, ძირს ჩაშვებული კუდი. მარცხენა უკანა ფეხზე შემოუხვევია. ძროხას წინა ფეხები მჭიდროდ აქვს ერთმანეთზე მიდგმული, უკანა ფეხები—გაშლილი. დიდი ლაბაბი ნაოქებით არის დასერილი. მოკლეკისრიანია.

ხბოს გრძელი კისერი აქვს, მაღალი და წვრილი ფეხები. წინა ფეხები სახსრებში მოუხრია, თითქოს ჩაჩოქილად და ისე წოვს ძუძუს. უკანა ფეხები საკმაოდ მჭიდროდ აქვს ერთმანეთთან მიდგმული.

ძროხის ზურგს უკან მაღალტანიანი და ხშირფოთლიანი ხე დგას. ხის შტოები ქვევითკენ არის დახრილი. წყვეტილი ხაზით გადმოცემული ნიადაგის ზოლი მკრთალად ჩანს.

გამოხატულების ქვემოთ, პირის კიდესთან, ამოჭრილია ერთსტრიქონიანი ბერძნული წარწერა KOVAK—კოვაკ. KOVA ერთად, ძროხის მარცხენა უკანა ფეხიდან მოყოლებული წინა მარჯვენა ფეხამდე. K პირზე ცალკე არის ამოკვეთილი, მკერდის გასწვრივ (თავსა და ფეხებს შორის მოთავსებული, ქვემოთ), ჩანს, მკრელს K არ დაეტია გამოზომილ მოედანზე. წარწერა ასომთავ-

რულით არის შესრულებული; იგი თვალსაჩინო ადგილზეა მოთავსებული; თავისი ხასიათით იგი ბეჭდის მფლობელის სახელის აღმნიშვნელია¹.

შესრულების თვალსაზრისით წარწერა არ გამოირჩევა დიდი სიფაქიზით. იგი საკმაოდ ტლანქად გამოიყურება; ანბანი არ არის თანაბარი ზომისა, მაგ., O სხვა ასოებთან შედარებით პატარაა. ანბანს შორის დაშორებული ხანი სხვადასხვაა. თითოეული ასოს ხაზი დატეხილია, წარწერა კომპოზიციურად თითქოს მთლიანად არც კი ეთანხმება გამოხატულებას. ამ მხრივ ჩვენს გემაზე მოთავსებული წარწერა საგრძნობლად განსხვავდება ანტიკური წარმოშობის მფლობელის სახელიან გემებისაგან, სადაც მფლობელის აღმნიშვნელი წარწერა მკიდრო კავშირშია მთლიან კომპოზიციასთან. ანბანს კობტა. თანაბარი მოხაზულობა აქვს და ჩვენს წარწერასთან შედარებით უფრო მცირე ზომისაა. ჩვენი წარწერა შესრულების მანერით და ანბანის მოხაზულობით მეტად ახლოს დგას ასპარუგ ერისთავის საბეჭდავსა და ზევახის ბალთაზე მოთავსებულ წარწერებთან.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, მკვეთრად და საკმაოდ ღრმად. კარგი ნახელავია, გაბედული ხელით შესრულებული. წარწერაც ღრმად არის ნაკვეთი. გამოხატულება ერთგვარ სქემატურ ხასიათს ატარებს. ეს განსაკუთრებით მჟღავნდება ძროხის ღაბაბის ნაკვეცების დაკიდურების გადმოცემაში.

ქვა თანაბრად არის გათლილი და გაპრიალეებული. გამოხატულება ნაწილობრივ მქრქალია (ხე და წარწერა).

აღნიშნულ სიუჟეტს ხშირად ვხვდებით მიკენურ და არქაული დროის გემებზე. იხ. Furtwängler. Beschreibung... ტაბ. I, გამ. 24; ტაბ. 3, გამ. 109, 110; ტაბ. 4, გამ. 175, Furtwängler. Antiken Gemmen. ტ. VII, 35, 27 (600 წ. ძვ. წ.). Walters. The Art of the Greeks. London, 1914, ტაბ. LXXXIX, გამ. 17 (ბერძნული, ფინიკიური და იონური გემები). Walters. Catalogue of engraved gems... ტაბ. VI, გამ. 338 (არქაული გემა 600 ძვ. წ.) Lippold. Gemmen und Kameen des Altertums und der Neuzeit. Stuttgart. ტაბ. 90, გამ. I (არქაული სკირაბეოიდი). Sommerville. Engraved gems. Philadelphia, 1889. ტაბ. 73, გამ. 914.

ანალოგიური გამოხატულება რომაული დროის გემებზე იხ. Walters. Catalogue of engraved gems. ტაბ. XXVIII, გამ. 2362. Carnegie. Catalogue of the collection of the antique gems. ტ. I, ტაბ. VIII, გამ. G 18, A 20.

Fossing. Catalogue of the antique engraved gems and cameos. Copenhagen, MCMXXXII, ტაბ. XVI; გამ. 1362, 1363, 1364.

ეს სიუჟეტი მონეტებზედაც ფართოდ არის გავრცელებული. სახელდობრ, აპოლონიისა და დირახის მონეტებზე. იხ. Anson. Numismata Graeca. Greek coin types. London, 1910. ტაბ. XXIX, გამ. 1559. Manteuil. Collection de Monnaies grecques. Paris, 1925, ტაბ. LX, გამ. 343. Regling Kurt. Die Antike Münze als Kunstwerke. Berlin, 1924. ტაბ. XXXIII, გამ. 686 (400—359 ძვ. წ.).

¹ თ. ყაუხჩიშვილი KOVAK-ს ქალის სახელად მიიჩნევს. იხ. ბერძნული წარწერები საქართველოში, თბილისი, 1951, გვ. 259.

მიუხედავად იმისა, რომ ანტიკური გლიპტიკის ნიმუშებიდან აღნიშნული შინაარსის გემები დიდი რაოდენობითაა ცნობილი და ამ მხრივ ანალოგიები ჩვენს საბეჭდავს მრავლად აქვს, იგი მაინც თავისებური და მათგან განსხვავებულია.

პლასტიკურობას მოკლებული გამოხატულება უსიცოცხლოა (იხ. ტაბ. III, 27) და ერთგვარად სქემატური; სხეულის ცალკეული ნაკვეთები ერთმანეთისაგან მკვეთრად არის გამოყოფილი. გამოხატულება არათანაბარი რელიეფითაა შესრულებული, პროპორციები დარღვეულია; ძროხის მთელი სხეული ოდნავ ამოზურცული სიბრტყეებით არის გადმოცემული. მარჯვენა წინა ფეხის რელიეფი კი თვალსაჩინოდ აღემატება გამოხატულების მთელ რელიეფს (თითქმის ასეთივე მაღალ რელიეფს იძლევა ზოგიერთი ასოც). მარჯვენა უკანა ფეხი მარცხენასთან შედარებით ბევრად უფრო მსხვილია; მარცხენა ფეხი ძროხას არაპროპორციულად წვრილი აქვს, მეტად სქემატურად გადმოცემული. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თითქოს კუდი და ფეხები (განსაკუთრებით წინა და უკანა მარცხენა) ძროხის სხეულის ნაწილები კი არ არის, არამედ საყრდენებს წარმოადგენს. ასევე სქემატურად არის შესრულებული ხზო, რომლის თავი ერთობ პირობითად არის გადმოცემული. ზემოხსენებულიდან გამომდინარეობს მოსაზრება ამ ბეჭდის ადგილობრიობის შესახებ.

ბეჭდისაგან დარჩენილია მხოლოდ ბუდე. ბუდე ოვალური მოყვანილობისაა, დაბალი. ჩანს ბეჭედს ფართო მხრები ჰქონია (სურ. 7). შდრ. Henkel. Die römischen Fingerringe... ტაბ. LVIII, 1524, 1524 a, 1524 b; თარიღდება II საუკ. ახ. წ.



სურ. 7 Рис.

დაცულობა: გემა გადახეხილია, ეტყობა დიდხანს ყოფილა ხმარებაში. ინტალიო ორგან გაბზარულია სისქეში. თვალი ბუდიდან ამოვარდნილია. ბეჭდისაგან ძალზე დაჟანგებული და დეფორმირებული ბუდეა დარჩენილი.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—19 მმ, განი—16 მმ, სიმაღლე—6 მმ.

სამთაგრო, 1940 წ., S უბანი, კრამიტსამარხი № 242, საველე წიგნ. № 2218. ამავე სამარხიდან არის № 304.

თავისებური ამოჭრის მანერისა, შესრულების ხასიათისა და წარწერის მიხედვით ინტალიო ადგილობრივ ნახელავად უნდა ჩაითვალოს. იგი მიეკუთვნება ახ. წ. II საუკ. ამგვარ დათარიღებას ხელს უწყობს ბეჭდის ფორმასთან ერთად ანბანის მოხაზულობაც. შდრ. Latyschew. JOSPE. ტ. II, № 27. წარწერა 123—131 ახ. წ. თარიღდება. დამთარიღებელ ელემენტად ჩვენს ინტალიოზე K ჩაითვლება.

28. (ინგ. 323) ინტალიო მუქი მოწითალო სარდიონისა. ოვალური მოყვანილობის ინტალიო ქვედაპირისკენ ვიწროვდება; პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი საკმაოდ მაღალი და დაქანებული აქვს. ბრტყელი პირიანია, ქვედაპირიც ბრტყელია.

პირზე გამოხატულია ზეზე მდგომი მამაკაცი, პროფილში მარცხნივ, დაბალი, ჩახვეულკიდებიანი თავსაბურავი ხურავს, სახე სუმარულად აქვს შესრულებული. შუბლი არ უჩანს; საკმაოდ გრძელი და სწორი ცხვირი აქვს, წინ წამოწეული ნიკაპი. პირი მკვეთრად არის გამოხატული. მაღალი კისერი სწორი ღარითაა გადმოცემული.

მამაკაცი, მოკლე მთელ სიგრძეზე ნაოქმიყრილი კაბით არის შემოსილი. კაბის ნაოქები მეტად სქემატურად სწორი პარალელური ღარებითაა შესრულებული. მამაკაცს უცნაური ტანის მოყვანილობა აქვს — კვერცხისებური. ყურადღებას იპყრობს სხეულის ნაწილების თანაშეუზომელობა. უჩვეულოდ მოკლე ხელი, შეუსაბამოდ დიდი სახე. ტანი მეტად მაღალი რელიეფით არის გადმოცემული და ბევრად აღემატება მთელ გამოხატულებას. მხარი არ არის გადმოცემული.

მოკლე ფეხებს ორი სწორი ხაზი გამოხატავს, პირდაპირ არის მოცემული და არ ეთანხმება მთელი ტანის მდგომარეობას; ფეხები ტიტველი აქვს (კაბა არ ფარავს). მამაკაცი დაბალ ორფეხა სკამზე (?) დგას. იგი მეტად მოკლე მარცხენა ხელით გრძელ სარს ეყრდნობა. სარსა და სკამის (?) წინა ფეხს ნახევარმთავარისებრი მოყვანილობის ღარი აერთებს.

მსგავსი გამოხატულება გემა ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლთა შორის არ შეგვხვედრია. როგორც თანადროულ, ასევე ადრინდელ გემებთან შედარებით ჩვენი გემა სტილისტურად მეტად განსხვავებული და თავისებურია. განსხვავებულია აგრეთვე ამოჭრის მანერაც. ეს უფლებას გვაძლევს ინტალიო ადგილობრივ ნახელავად ჩავთვალოთ.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი მკვეთრად და ღრმად. ანაბეჭდზე არათანაბარ რელიეფს იძლევა. გამოხატულების ნაწილი — სახელდობრ, ტანი მეტად ღრმად ნაკეთია: თავი, ფეხები და სარი ზომიერი რელიეფითაა მოცემული. გამოხატულება უსიციოცხლო და სქემატურია, ქანდაკების შთაბეჭდილებას ტოვებს; იგი ოსტატს მქრქალად დაუტოვებია. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული.

დაცულობა: გემა ადგილ-ადგილ ატკეცილია და სისქეში ერთგან გაბზარულია.

ზომა: ინტალიოს სიგრძე — 11 მმ, განი — 8 მმ, სიმაღლე — 3 მმ, პირის სიგრძე — 9 მმ, პირის განი — 6 მმ.

სამთავრო, 1940 წ., S უბანი ორმო-სამარხი № 368, კრამიტით გადახურული. საველე წიგნ. № 2884.

გამოხატულების ამოკვეთის ხასიათის მიხედვით ინტალიო ახ. წ. II საუკ. მიეკუთვნება.

29. (ინვ. 587) ინტალიო მოწითალო ფერის სარდიონისა, ვერცხლის ბეჭედს ამკობს. ოვალური მოყვანილობის ინტალიო ბუდეში ღრმად ზის, პირი ოდნავ ამობურცული აქვს. ქვედაპირისაკენ მკვეთრად უნდა ვიწროვდებოდეს. პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი ძალზე დაქანებულია.

პირზე გამონატულია მხედარი ბომონის წინაშე. მხედარი წარჩინებული უნდა იყოს. თავზე დაბალი თავსაბურავი ჰხურავს, ნაწილობრივ სხივებით შემკული; მხედარს ქლამიდა აქვს წამოსხმული, რომლის ბოლო ჰაერში ფრიალებს. მკერდთან ნაოჭმიყრილი კაბა აცვია; კაბა მაღალყელიან ფეხსაცმელში აქვს ჩატანებული.

გამონატულება სუმარულად არის შესრულებული; სახის ნაკვთები გაერთიანებულია, ხელები არ უჩანს (მოცემულია მხოლოდ მარჯვენა მკლავის ნაწილი). მხედარი მარჯვენა ფეხით თითქმის მიწას ეხება.

ცხენი დაბალკისრიანია; მაღალი და კობტა მოყვანილობის ფეხები აქვს. თავი სუმარულად არის შესრულებული. შუბლს სხივთა კონა უმკობს; გრძელი და სქელი ძუა ძირს აქვს ჩაშვებული. ცხენს მარჯვენა წინა ფეხი ბომონის წინაშე აქვს აწეული. ბომონი დაბალია, ზედ ცეცხლი ანთია, ალი მაღლა ადის. მხედრის ზურგს უკან ხშირფოთლიანი მაღალი ხე დგას. გამონატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამონატულება დაზგაზე ამოჭრილია მკვეთრად, საკმაოდ ღრმად არის ნაკვეთი. ნახელავი არ გამოირჩევა განსაკუთრებული სიფაქიზით, მტკიცე ხელით არის შესრულებული.

ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული, ოსტატს გამონატულება მკრქალად დაუტოვებია.

ზუსტად ანალოგიური გემა აღმოჩენილია ქუთაისის მახლობლად, რომელიც გამოცემული აქვს კიბალჩიჩს Gemmes de la Russie méridionale. ტაბ. VIII, გამ. 267. მსგავსი გამონატულებიანი ინტალიო იხ. Furtwängler. Beschreibung... ტაბ. 25, გამ. 2935.


ბეჭდის მრგვალი მოყვანილობის სქელი მავთულის რკალი პირხსნილია, მხრებთან შებრტყელებული. შებრტყელებულ ნაწილზე (გარდი-გარდმო) დარჩილულია ოვალური მოყვანილობის ბუდე¹. ბუდეს ოვალური მოყვანილობა აქვს. ტაბ. 3, 29. ცალ მხარეს, ბუდესთან დარჩილულია მოზრდილი ვერცხლისავე ბირთვი. ბუდის ძირი ოდნავ ამობურცულია.

ამგვარი ბეჭდები ახ. წ. IV საუკ. მიეკუთვნება. იხ. Henkel. Die römischen Fingerringe... ტაბ. XIV, გამ. 274, 274a, 274b; 276, 276a, 276b; 281, 281a, 281b.

დაცულობა: თვალი რამდენიმე ადგილას გაბზარულია სისქეში, ცერად, ბუდე ორგან ჩამოტეხილია, ცალ მხარეს ბირთვი აკლია. ვერცხლი დაზიანებულია.

¹ აღსანიშნავია, რომ ანტიკურ ბეჭდებზე ბუდე რკალს სიგანეზე აქვს დარჩილული.

23



237



24



308



26



319



29



587



ზომა: ინტალიოს სიგრძე—13 მმ, განი—9 მმ, ბეჭდის სიმაღლე—37 მმ, ბეჭდის დიამ.—20 მმ, ბუდის სიგრძე—14 მმ, ბირთვის დიამ.—4 მმ.

ამოჭრის მანერით, ცალკეული დეტალების გადმოცემითა და სტილისტურადაც ეს ინტალიო ახლო დგას № 300 გემასთან, რაც უფლებას გვაძლევს იგი ადგილობრივად ჩავთვალოთ.

სამთავრო, № უბანი, 1947 წ., ქვისსამარხი, № 600, საველე წიგნ. № 6042. ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო IV საუკ. თარიღდება.

30. (ინვ. 320) ინტალიო—კამეა. საკიდი გიშრისა, საკიდს სწორკუთხედის მოყვანილობა აქვს, ბრტყელია. ცალ მხარეს კუთხეებში გამსჭვალაი ნახვრეტები აქვს გაკეთებული. საკიდი ორპირიანია. პირების შემაერთებელი წახნაგი დაბალი და სწორია.

ცალ პირზე გამოხატულია სიმბოლური ნიშანი — მოხრილმკლავებიანი ჯვარი. მკლავები ერთი მიმართულებით არის წახრილი, დაბალი და ბრტყელი რელიეფითაა შესრულებული. ჯვარი საკიდის ცენტრში არის მოთავსებული, ირიბად, ფიგურული ჩარჩოშია ჩასმული. ჩარჩო რომბის მოყვანილობისაა; კუთხეები მოპრგვალეებული აქვს, თითქოს ჩახვეულიაო, გრაგნილს მოგვაგონებს. რომბიც ბრტყელი რელიეფით არის შესრულებული. რომბის გვერდებსა და პირის კიდეს შორის თითო სამკუთხედიან ამოჭრილი ღრმად. მეორე პირი ოთხად არის გაყოფილი. თითოეულ დანაყოფში დაბალი და ბრტყელი რელიეფით ამოჭრილია თითო მოხრილ-მკლავებიანი ჯვარი. ოთხივე ჯვარი ერთიმეორეს მიჰყვება და უჩვეულო მენდრის სახეს ჰქმნის. ჯვრები ვიწრო და მკვეთრი ღარით არის შემოფარგლული.

გამოხატულება საკრისითაა ამოჭრილი. გამოხატულების მცირე ნაწილი ღრმად ჩაჭრის წესით არის შესრულებული. მეტად ფაქიზი და ოსტატური ნახელავია. ქვა ზედმიწევნით არის გაპრიალებული.

ამგვარი გამოხატულებები ხშირად გვხვდება გეომეტრიული სტილის ხანაში და მიკენურ მოხატულ ქურჭლებზე. ეს მოტივი გვხვდება სამთავროში მოპოვებული თიხის ქურჭელსა და საკინძის თავებზე. აგრეთვე თრიალეთში მოპოვებული ქურჭლებსა და სხვ. შავი თიხის ქურჭლის ყელის ძირს (მხრებზე) გარს უყლის არშია, რომლის ერთ-ერთ ელემენტს მოხრილმკლავებიანი ჯვარი შეადგენს.

საკიდზე ამოკვეთილი გამოხატულება, სახელდობრ, მეორე პირზე მოთავსებული თავისებური მენდრი ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. ვფიქრობთ საკიდს ავგაროზის დანიშნულება ჰქონდა.

დაცულობა: საკიდი ადგილ-ადგილ ამოტეხილი და გაბზარულია, საბეჭდავს ცალი კუთხე ჩამოტეხილი აქვს.

ზომები: სიგრძე—21 მმ, განი—17 მმ, სიმაღლე—6 მმ, ნახვრეტი დიამ.—2 მმ.

სამთავრო, 1940 წ., N უბანი, ქვევრსამარხი № 31, საველე წიგნ. № 3396. ძვ. წ. I ათ. მიწურული.

31. (ინვ. 299) ინტალიო—საბეჭდავი იასპი-აქატისი. ქვას წითელი მოვარდისფრო გამჭვირვალე, ცისფერი გამჭვირვალე და აგურისფერი ლაქები და ხაზები აქვს.

საბეჭდავი სკარაბეოიდის ფორმისაა; პირი ოვალური და ბრტყელი აქვს, ზურგი ზომიერად ამობურცული; პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი პირთან წიბოიანია; საბეჭდავს მთელი სიგრძე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის.

პირზე გამოხატულია სამი ირემი, პროფილში მარცხნივ, ერთმანეთის გვერდით მიმავალნი. საკმაოდ სტილიზებული და სქემატური ნახელავია. ორ ირემს თავები არ უჩანს; ჩანს მხოლოდ მარჯვენა კიდეზე მყოფი ირმის თავი. იგი სუ-მარულად არის შესრულებული; მაღალი და სწორი რქები აქვს, გრძელი დრუნჩი. მოკლე კუდი ფართო ღარით არის გამოხატული. სამივე ირმის სხეული გაერთიანებულია, ერთმანეთისაგან მკრთალადაც კი არ არის გამოყოფილი. ჩლიქები ხაზგასმით და მკვეთრად არის მოცემული. ფეხები სწორი ხაზებითაა გამოხატული.

გამოხატულება დაზგაზგა ამოჭრილი, არა ღრმად, ანაბეჭდზე დაბალ და მეტად ბრტყელ რელიეფს იძლევა. ტლანქი და მეტად სქემატური ნახელავია. სკარაბეოიდი კარგად არის გათლილი, მკრელს ზურგი ზედმიწევნით გაუპრიანლებია; პირი გამოხატულებითურთ მკრქალი აქვს.

თავისი ფორმით საბეჭდავი მცირეაზიურია¹. თუმცა იგი სტილისტურად და დამუშავების ტექნიკის მხრივ განსხვავდება აქაური საბეჭდავებისაგან. მანერით რამდენადმე თავისებურია: გამოხატულების გადმოცემას პირობითობა ახასიათებს.

დაცულობა: საბეჭდავის $\frac{2}{3}$ ჩამოტეხილია, ისე რომ გამოხატულება დაზიანებულია (ორი ირმის თავი არ ჩანს), საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატკეცილია.

ზომა: სიგრძე—19 მმ, განი—13 მმ, სიმაღლე—7 მმ, ნახვრეტის დიამ.—3 მმ.

სამთავრო, 1940 წ., S უბანი, კრამიტსამარხი № 177. საველე წიგნ. № 1808. ამავე სამარხიდან არის № 8.

ელინისტური ხანის საბეჭდავი გვიანდელ სამარხში არის ჩატანებული. მასთან ერთად მოპოვებულია ახ. წ. II სუკ. გემა.

2) პართული და სასანური გემები

32. (ინვ. 582) ინტალიო ორფენიანი ნიკოლოსი. ქვედა ფენა შავი ფერისაა, ზედა ცისფერია. ინტალიო ოქროსბუდიან ელექტრუმის ბეჭედს ამაკობს.

გამოხატულების ნაწილი ცისფერია, ნაწილი შავი. ოვალური მოყვანილობის ინტალიო ქვედაპირისკენ ფართოვდება; ბრტყელი პირი აქვს. გემაბუდეში მალლა ზის. პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი დაქანებულია.

¹ იხ. Максимова М., Геммы из некрополя Мхеты-Самтавро, გვ. 233.

პირზე გამოხატულია დათვი, პროფილში მარჯვნივ, მიმავალი, დათვი თავდახრილია. ყურები, დიდი ზომის თვალი და დრუნჩი მკვეთრად არის გამოხატული; მსხვილი ხაზით გადმოცემული მოკლე კუდი ძირს აქვს დაშვებული.

დათვის სხეული მოკლე-მოკლე ჰორიზონტალური ღარებით არის დასერილი, გამოხატულებას გარს უვლის (პირის კიდესთან) მოზრდილი რგოლების წყება.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, მკაფიოდ. წმინდა და ფაქიზი ნახელავია. მკრელს ქვის ფენები ოსტატურად გამოუყენებია — დათვის დრუნჩი, ყურები და თათები ცისფერ ფენაზეა ამოჭრილი. თავის ნაწილი და სხეული (მთლიანად) — შავ ფენაზე; ფონი გამოხატულებას ცისფერი აქვს.

ქვა კარგად არის გათლილი და ზედმიწევნით გაპრიალებული.

მსგავსი გამოხატულებები იხ. A Survey of Persian Art IV, ტაბ. 256, გამ. HH. Horn. Sassanidische Gemmen aus den British Museum. Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft. Band 44. Leipzig, 1890, ტაბ. II, გამ. 618. Mordtmann. Studien über Geschnittenen Steine mit Pehlevi-Inschriften, ZDMG. XVIII. Leipzig, 1864. ტაბ. V, გამ. 24.

ელექტრუმის ბეჭდის რკალი მიჩნეულია ოქროს კონუსისებრი მოყვანილობის მაღალ ბუდეზე. მრგვალი რკალი მხრებთან სქელდება და ფართოდდება. ბუდის ნაპირები თვალზე გადმოკეცილი და მკიდროდ შემოქედილია (ტაბ. 4,32).

დაცულობა: თვალი რამდენიმე ადგილას გაბზარულია; ბუდეს $\frac{1}{3}$ ჩამოტეხილი აქვს ნაპირთან.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—14 მმ, განი—12 მმ, პირის სიგრძე—11 მმ, განი—9 მმ, ინტ. საშ. სიმაღლე—4 მმ, ბეჭდის სიმაღ.—28 მმ, ბეჭდის დიამ.—18 მმ, ბუდ. სიმაღ.—10 მმ, რკალის დიამ.—5—3 მმ.

სამთავრო, 1946 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 605, სველე წიგნ. № 5185.

სტილისა და ქვაზე ამოჭრის ტექნიკის მიხედვით ინტალიო პართული ეპოქის გლიპტიკას მიეკუთვნება ახ. წ. II საუკ. ბოლო წლებით ან ახ. წ. III საუკ. თარიღდება. შდრ. Максимова М., Геммы из некрополя Мцхеты-Самтавро. ტაბ. III, 81. ამგვარ დათარიღებას ხელს უწყობს ამავე სამარხში მოპოვებული № 584 ბეჭედი.

V 33. (ინვ. 584) ინტალიო ღია ფერის ლავეარდის ქვისა, ვერცხლის ბეჭედს ამკობს. ინტალიო მრგვალი მოყვანილობისაა; ბრტყელი პირი აქვს.

პირზე გამოხატულია მწოლიარე ჯიხვი, პროფილში მარჯვნივ. უკან გადაყრილი დიდი და სწორი რქები აქვს. სუმარულად შესრულებული თავი მკრთალად ჩანს.

სახსრებში მოკეცილი გრძელი ფეხები მკრთალი ხაზებით არის გადმოცემული. ჩლიქებს ორ-ორი მოკლე და არა ღრმა ღარი გამოხატავს; ჯიხვს დაბალი და ფართო კისერი აქვს. გამობერილფერდებიანია. მოკლე კუდი ზევით აუწევია. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზე ამოჭრილი, მცირეოდენი ჩაღრმავებითა და ბრტყლად არის ნაკვეთი. სხეულის ცალკეული ნაკვეთები არ არის მკაფიოდ გამოხატული და ერთიმეორისაგან გამოყოფილი. მკრთალად მოხაზული გამოხატულება ესკიზის შთაბეჭდილებას ტოვებს; ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

ნახელავს ოსტატის თამამი და ქვაზე ამოჭრას დაუფლებული ხელი ეტყობა.

გამოხატულება შდრ. Horn und Steindorf. Sassanidische Siegelsteine. Berlin, 1891, ტაბ. III, გამ. 1315.

სტილისტურად და ამოკვეთის მანერით გემა ანალოგიურია მაქსიმოვას მიერ გამოცემულ გემებთან. მითით. ლიტ., ტაბ. III, გამ. 70, 71.

ბეჭდის მაღალ კონუსისებრი მოყვანილობის ბუდეს, მრგვალი მავთულის წვრილი რკალი აქვს მირჩილული. ბუდის ვიწრო და თხელი ნაპირი თვალზე ისეა შემოკედილი, რომ თვალისა და ბუდის ნაპირები ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული (სურ. 8).



სურ. 8 Рис.

დაცულობა: გემა რამდენიმე ადგილას გაბზარულია სიგრძე-სიგანეზე; პირი ერთგან ამოტეხილი აქვს. ნაპირები ზოგან ამომტვრეულია მცირედ, ბუდის ნაპირები ადგილ-ადგილ ჩამომტვრეულია.

ზომა: ინტალიოს დიამ.—10 მმ, ბეჭდის სიმაღლე—25 მმ, დიამ.—16 მმ, ბუდის სიმაღლე—8 მმ, რკ. დიამ.—2 მმ.

სამთავრო, 1947 წ., N უბანი, ქვის სამარხი № 605, საველე წიგნ. № 5184.

ამოჭრის ხასიათისა და სტილის მიხედვით ინტალიო პართული ეპოქის გლიბტიკას ახ. წ. II—III საუკ. მიეკუთვნება.

ამგვარ დათარიღებას ხელს უწყობს ამავე სამარხში მოპოვებული ბეჭედი № 582.

✓ 34. (ინვ. 605) ინტალიო ღია ფერის ლაფვარდისა; ინტალიოს ოვალური მოყვანილობა აქვს, ბრტყელია, პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი ოდნავ დაქანებულია.

პირზე გამოხატულია ფრთოსანი ხარი ადამიანის თავით. გამოხატული არსება მწყემს-მეფე-გოპად-შაჰს წარმოადგენს. გოპად-შაჰის ტანი პროფილში მარჯვნივ არის მოცემული, თავი—პირდაპირ. სქემატურად შესრულებული ფრთები ხშირი ღარებით არის გადმოცემული.

მწყემსი-მეფის თავს მაღალი თავსაბურავი ამკობს, შვეული ღარებით დასერილი. თვალები სწორი ხაზებით არის გადმოცემული, ასევე ცხვირი; გრძელი წარბები აქვს, დიდი პირი, წვერიანია. ჩლიქები მკაფიოდ ჩანს. მარჯვენა უკანა ფეხზე შემოხვეული კუდი ძირს აქვს ჩამოშვებული. ზურგის გასწვრივ, პირის კედესთან, თავამდე წყვეტილი რკალია ამოკვეთილი. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი საკმაოდ ტლანქად, არ არის ღრმად ნაკვეთი, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა. ქვა კარგად არის გაპრიალებული, გამოხატულება მქრქალია.

მსგავსი გამოხატულება იხ. Horn und Steindorf. Sassanidische Siegelsteine. ტაბ. V, გამ. 1132, 1133, 1139, 1142. A Survey of Persian Art IV, ტაბ. 256, გამ. W. Тревер. Гопат-шах—пастух—царь. Труды О тд. Истории культуры и искусства Востока II. Эрмитаж, 1940, გვ. 71—86, ტაბ. IV.

მსგავსი გამოხატულებები სკულპტურებსა და ქვის ძეგლებზედაც ხშირია. იხ. Lajard. Recherches sur le cult public de Mithra. Paris. MDCCCLXVII. planches. ტაბ. VIII.

დაცულობა: ინტალიოც ადგილ-ადგილ ატკეცილია.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—14 მმ, განი—12 მმ.

სამთავრო, 1948 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 711, საველე წიგნ. № 6332.

სტილისტური თავისებურებისა, ამოჭრის ტექნიკისა და ამავე სამარხში აღმოჩენილი № 600 ინტალიოს მიხედვით გემა ახ. წ. II—III საუკ. თარიღდება (ამოჭრის ტექნიკა შდრ. Максимова, დასახ. ნაშრ., ტაბ. III, გამ. 72).

35. (ინვ. 581) ინტალიო აღმანდინისა — გრანატი, ვერცხლის ბეჭედს ამკობს; ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ამობურცული პირი აქვს.

პირზე გამოხატულია კურდღელი პროფილში მარჯვნივ. მირბის. გამოხატულება ძალზე სტილიზებულია. კურდღელს გრძელი და სწორი ყურები აქვს, მოკლე კუდი, სუმარულად შესრულებული თავი. მაღალი ფეხები აქვს, მარჯვენა უკანა ფეხი სახსარშია მოხრილი. თითები ორ-ორი ჰორიზონტალური და მოკლე ღარით არის გადმოცემული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი საკმაოდ ღრმად და მკვეთრად. ნახელავი არ გამოირჩევა სიფაქიზითა და ოსტატობით. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული, გამოხატულება მქრქალია.

მსგავსი გამოხატულება იხ. Delaporte. Catalogue des cylindres et des cachets orientaux. II Acquisitions. ტაბ. 109, გამ. 12 (A. 1301), 13 (A. 1302).

ბეჭდის მრგვალი რკალი მხრებთან მკვეთრად ფართოვდება და რომბისებრი მოყვანილობის ბუდეში გადადის; თვით სათვალბუდე ბეჭედს ოვალური მოყვანილობისა აქვს, შიგ რკალში ამოჭრილი. ტაბ. 4, 581.

ბუდეს ბრტყელი ძირი ცალკე აქვს გაკეთებული და ბეჭედზე შემდეგ მირჩილული.

მსგავსი ფორმის ბეჭდები ახ. წ. I საუკ. მიეკუთვნება. შდრ. Henkel. დასახ. ნაშრ., გამ. 1123, 1123 a, 1123 b.

დაცულობა: გემა ერთგან გაბზარულია სისქეში, ცერად, ბუდეს ნაპირი მცირედ შემოკბილული აქვს. ვერცხლი საკმაოდ მყიფეა.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—7 მმ, განი—6 მმ, საშ. სიმაღ.—2 მმ, ბეჭდის დიამ.—16 მმ.

სამთავრო, 1946 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 615, საველე წიგნ. № 5400.

ამოჭრის თავისებურებისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ. წ. I საუკ. თარიღდება.

36. (ინვ. 307) ინტალიო მოყვითალო ფერის მინისა, ბრინჯაოს ბეჭედს ამკობს. ინტალიო მრგვალია, ბრტყელი, არა თანაბარი სისქისა. პირზე გამოხატულია ოთხფურცლიანი ყვავილი. ყოველი ფურცელი ორად არის გაყოფილი. ფურცლები საკმაოდ გრძელი და ფართოა, მომრგვალებული კიდეებით. ყვავილს მრგვალი გული აქვს, უყუნწოა. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

ინტალიო ჩამოსხმულია. გამოხატულება მკვეთრად არის გამოსული. თვალი ზოგან თხელია, ზოგან სქელი. მინა ნაპირებზე კარგად არის გაშლიფული.

მსგავსი გამოხატულებიანი გემა სამთავროში არის მოპოვებული. იხ. Максимова, Геммы из некрополя Мцхеты-Самтавро, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVII B, თბ., 1950 წ., ტაბ. 3, გამ. 76.

მსგავსი გამოხატულება სასანურ მინანქრებზედაც გვხვდება. იხ. Manguelies. Cloisonné Senemal. A Survey of Persian Art I. New-York—London, 1938. გვ. 783, გამ. 267 a. ბეჭდის რკალი გვერდებისკენ განზიდული ყოფილა, ღრუ, მხრებთან ფართოვდება და უშუალოდ გადადის ოვალური მოყვანილობის ბუდეში. ბუდე ფართო და ღრმაა; შედრეკილი ძირი აქვს. რკალი ამობურცულზედაპირიანია, ბრტყელი ზედაპირით. ბეჭედი ახ. წ. III საუკ. მიეკუთვნება. შდრ. Henkel. Die römischen Fingerringe... გვ. 145, გამ. 97¹⁴, 1591*.

დაცულობა: მინა ირიზებულია მცირედ; პირი ნაპირთან ჩამოტეხილი აქვს. თვალი ადგილ-ადგილ ატკეცილია. ბეჭედი დამტვრეულია.

ზომა: ინტალიოს დიამ.—9 მმ, ბუდის დაახლ. სიგრ.—12 მმ, რკალის განი—4 მმ.

სამთავრო, 1940 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 382, საველე წიგნ. № 3295.

ბეჭდის ფორმისა და არსებული ანალოგიის მიხედვით ინტალიო ახ. წ. III საუკ. თარიღდება.

37. (ინვ. 311) ინტალიო ღია ფერის ალმანდინისა (გრანატი), ინტალიო ბრინჯაოს ბეჭედს ამკობს. ოვალური მოყვანილობისაა და საკმაოდ უწყესო ფორმის; ბრტყელი პირი აქვს, ოდნავ ამობურცული ქვედაპირი.

პირზე გამოხატულია რქოსანი ცხოველი, პროფილში მარჯვნივ, მირბის. ცხოველს გრძელი და სწორი რქები აქვს, მაღალი კისერი, ფართო ღარით

შესრულებული; თავი და დრუნჩი წვრილი ხაზით არის გადმოცემული. მაღალი ფეხები აქვს.

სქემატურად შესრულებული გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოსახულება დაზგაზეა ამოჭრილი, არა ღრმად, ბრტყელი რელიეფით. საკმაოდ ტლანქი და სქემატური ნახელავია; ქვედაპირი ინტალიოს გაპრიანებული აქვს, პირი გამოხატულებითურთ მქრქალია. ინტალიოს უწესო ოვალის ფორმა აქვს მიცემული.

ბეჭედი ბრინჯაოსგან არის გაკეთებული. ოვალური მოყვანილობის დაბალი ბუდე ძირისკენ მკვეთრად ვიწროვდება. ბუდეზე მირჩილული იყო ღრმად დაღარული მრგვალი მავთულის რკალი; რკალი ზონარს გვაგონებს. ჩანს თვალისა და ბუდის ნაპირები ერთ სიბრტყეზე ყოფილა მოთავსებული.

დაცულობა: ინტალიოს ნაპირი ერთგან ჩამოტეხილი აქვს, ადგილ-ადგილ ატყეცილი. თვალი ბუდიდან ამოვარდნილია. რკალი ორადაა გატეხილი, ბუდე და რკალი ცალ-ცალკეა. ბეჭედი პატინით არის დაფარული.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—7 მმ, განი—6 მმ, სიმაღლე—2 მმ, რკალის დიამეტრი—2 მმ, ბუდის სიგრძე—9 მმ.

სამთავრო, 1940 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 468, საველე წიგნ. № 3935.

ამოჭრის ტექნიკისა და სტილისტური თავისებურების მიხედვით ინტალიო პართულ ეპოქას მიეკუთვნება.

✓ ვს. (ინვ. 596) ინტალიო მუქი ფერის ლაჟვარდისა, ბრინჯაოს ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი, ქვედაპირისკენ ოდნავ ვიწროვდება.

პირზე გამოხატულია გაუშლელი ყვავილი; გრძელი ხაზურა ფოთლები აქვს. შროშანა უნდა იყოს. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი მკვეთრად და არა ღრმად. საკმაოდ სქემატური ნახელავია.

მსგავსი გამოხატულება იხ. Horn und Steindorf. Sassanidische Siegelsteine... Berlin, 1891, ტაბ. V, გამ. 1534. Delaporte. I Fouilles et Missions. ტაბ. 55, გამ. 5 (D. 858).

ბეჭდის რკალი სქელი და მრგვალი მავთულისაგან არის გაკეთებული. რკალი მაღალი ცილინდრული მოყვანილობის ბუდეზე იყო მირჩილული. ბუდეში თვალი პასტის სქელი ფენით ყოფილა ჩამაგრებული.

დაცულობა: გემა ორად არის გატეხილი. ბუდისაგან დარჩენილია პატინით დაფარული გვერდი. თვალი და რკალი ცალ-ცალკეა.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—8 მმ, განი—7 მმ, სიმაღლე—3 მმ, რკალის განი—3 მმ, ბეჭდის დიამ.—17 მმ.

სამთავრო, 1947 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 644, საველე წიგნ. № 5793.

ამოჭრის ტექნიკისა და სტილისტური თავისებურების მიხედვით ინტალიო პართულ ეპოქას მიეკუთვნება.

ამგვარ დათარიღებას ხელს უწყობს ამავე სამარხში აღმოჩენილი ინტალიო № 594.

39. (ინვ. 594) ინტალიო მუქი ყავისფერი იასპისა. ინტალიო სფერული მოყვანილობისაა, ცალ მხარეს წაკვეთილი, გამოხატულება წაკვეთილ მხარეზეა ამოჭრილი; პირი მრგვალი აქვს. ქვაში გაკეთებულია ნახვრეტი ზონრისათვის (ტაბ. 4, 39).

პირზე გამოხატულია დაჩოქილი თხა, პროფილში მარჯვნივ; უკან გადაყრილი დიდი რქები აქვს. თვალი სწორი ხაზით არის გადმოცემული, დიდთავიანია.

თხას გულ-მკერდი და ფერდები სწორი ღარებით აქვს დასერილი. სახსრებში მოკეცილი ფეხები სწორი ხაზით არის გამოხატული. ჩლიქები მკვეთრად ჩანს. უჩვეულოდ გრძელი კუდი მკვეთრი ღარითაა გადმოცემული.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზნა ამოჭრილი მკვეთრად და არა ღრმად, ბრტყელი რელიეფით არის შესრულებული. საკმაოდ სქემატური ნახელავია. გამოხატულება შდრ. Horn und Steindorf. მით. ლიტ., ტაბ. III, გამ. 1315. Delaporte. II Acquisitions. ტაბ. 109, გამ. 28 (A. 1310).

დაცულობა: საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატეცილია; ზურგი ნახვრეტთან ამოტეხილი აქვს.

ზომა: სიმაღლე—10 მმ, პირ. დიამ.—11 მმ, ნახვრ. დიამ.—3 მმ.

სამთავრო, 1947 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 644, საველე წიგნ. № 5792.

სტილისა, ამოჭრის ტექნიკის და მასთან ერთად მოპოვებული ინტალიოს (№ 596) მიხედვით, ინტალიო პართულ ეპოქას მიეკუთვნება.

40. (ინვ. 205) ინტალიო—საბეჭდავი ელექტრუმისა, ინტალიო სფერული მოყვანილობისაა, ცალ მხარეს „წაკვეთილი“; პირი მრგვალი და ბრტყელი აქვს. საბეჭდავში გაკეთებულია დიდი ნახვრეტი ზონრისათვის (ტაბ. 4, 40).

პირზე გამოხატულია მწოლიარე ანტილოპა, პროფილში მარჯვნივ; საკმაოდ სქემატურად შესრულებული თავი აქვს, პაწია, გულამოღებული წერტილით გადმოცემული თვალი; გრძელი და სწორი ხაზებით გამოხატული რქები უკან აქვს გადაყრილი. ფერდებს ორი სწორი ღარი ჰკვეთს, გულ-მკერდს—ერთი.

სახსრებში მოკეცილი ფეხები სწორი ხაზით არის გადმოცემული. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზნა ამოჭრილი, არა ღრმად და საკმაოდ მკვეთრად. სქემატურად შესრულებული გამოხატულება ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

მსგავსი გამოხატულებები იხ. Horn und Steindorf, მით. ლიტ., ტაბ. III, გამ. 1305. Delaporte. II Acquisitions. ტაბ. 109, გამ. 321 (A 1321), 28 (A. 1317).

დაცულობა: პირზე რამდენიმე ადგილას ჟანგი აქვს გადაკრული, ისე რომ გამოხატულება დაზიანებულია, ასევე—ზურგიც.


32



582



35



581



39



594




40



205



41



597



ზომები: სიმაღლე—7 1/2 მმ, პირ. დიამ.—8 მმ, ნახვრ. დიამ.—5 მმ.

სამთავრო, 1940 წ., N უბანი; ქვისსამარხი № 446, საველე წიგნ. № 3901.

სტილისა და გამოხატულების ამოჭრის ტექნიკის მიხედვით ინტალიო პართული ეპოქით თარიღდება.

41. (ინვ. 597) ინტალიო მოწითალო ფერის სარდიონისა, ოქროს ბეჭედს ამკობს. ინტალიოს ოვალური მოყვანილობა აქვს, ამობურცულპირიანი და ბრტყელქვედაპირიანია.

პირზე გამოხატულია ხარი, პროფილში მარჯვნივ, მიმავალი. ხარს დიდი თავი აქვს, ნაოჭიანი და მაღალი ქედი, გრძელი თვალი ორი მკვეთრი ღარით არის შესრულებული; დიდი ღაბაბი აქვს. ხარი მაღალ ფეხებიანი და გრძელკუდიანია; სწორი ღარით გადმოცემული კუდი ზევით აქვს აწეული. კუდის ბოლო ინტალიოს ნაპირს ეხება.

ხარის მკერდი რამდენიმე მოკლე ღარით არის გადაკვეთილი. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზნა ამოჭრილი არა ღრმად და ქკვეთრად. ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა. ცალკეული დეტალები არ არის ბოლომდე დამუშავებული. ოსტატობითა და სიფაქიზით ნახელავი არ გამოირჩევა.

ქვა კარგად არის გაპრიალეებული, გამოხატულება ოსტატს მქრქალად დაუტოვებია.

ბეჭედს ვიწრო მავთულისაგან გაკეთებული მრგვალი რკალი აქვს. რკალი ოვალური მოყვანილობის ბუდეზე არის მირჩილული. ბუდე ძირისკენ ვიწროვდება; ძირი არა აქვს. ჩანს ბუდის ნაპირები თავის დროზე შემოქედილი ყოფილა თვალზე (ტაბ. 4, გამ. 597).

დაცულობა: ბუდის ნაპირები შემოკბილულია, ბეჭედი დეფორმირებულია; ცალი მხარე რკალს გაწეული აქვს.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—10 მმ, განი—9 მმ, ბეჭდის სიმ.—25 მმ, დიამ.—16 მმ.

სამთავრო, 1947 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 713, საველე წიგნ. № 6083.

ამოჭრის ტექნიკის მიხედვით ინტალიო პართულ ეპოქას მიეკუთვნება.


42. (ინვ. 598) ინტალიო ღია ფერის ალმანდინისა—გრანატი, ვერცხლის ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა; ამობურცული პირი აქვს, ბრტყელი ქვედაპირი.

პირზე გამოხატულია ფრთაგაშლილი არწივი; თავი პროფილში მარჯვნივ აქვს მიბრუნებული; ქოჩრიანია. ფრინველის ნისკარტი მკრთალად ჩანს. თავი სუმიარულად არის შესრულებული; არწივს დიდი ფრთები აქვს, მომრგვალებული კონტურით, გრძელი უკან გაშვებული ბოლო, მაღალი ფეხები. ბრჭყალები საკმაოდ მკვეთრად არის გამოხატული. ნაკრტენი, რომელიც სხეულს უფარავს არა ღრმა და მოკლე ღარებითაა გადმოცემული. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი არა ღრმად, მეტად სქემატურად არის შესრულებული. სხეულის ცალკეული ნაკვეთები ოსტატს არ გამოჟყვია. ნახელავი არ გამოირჩევა სიფაქიზით.

ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული, გამოხატულება მქრქალია. მსგავსი გამოხატულებები ხშირად გვხვდება სასანურ გემებზე. იხ. Delaporte. II. Acquisitions. ტაბ. 109, გამ. 7 (A. 1296). Horn und Steindorf. Sasanidische Siegelsteine... ტაბ. IV, გამ. 1432. A Survey of Persian Art. IV, ტაბ. 256. გამ. EE.

ბეჭედს ოვალური მოყვანილობის დაბალი ბრტყელძირიანი ბუდე აქვს. ბუდეზე მირჩილულია მრგვალი მავთულის ვიწრო რკალი. ჩანს ბუდის ნაპირები თავის დროზე თვალზე შემოჭედილი ყოფილა (სურ. 9).



სურ. 9 Рис.

დაცულობა: ინტალიოს ქვედაპირი ორგან ატკეცილი აქვს, თვალი ბუდიდან ამოვარდნილია, ბუდეს ნაპირები შემოკბილული აქვს, ძირთან „ნაკერაეში“ გახსნილია.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—10 მმ, განი—8 მმ, სიმაღლე—3 მმ, ბეჭდის სიმაღლე—22 მმ, დიამ.—17 მმ, რკ. დიამ.—2 მმ.

სამთავრო, 1947 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 723, საველეწიგნ. № 6391.

ინტალიო სტილისა და ამოჭრის ტექნიკის მიხედვით პართულ ეპოქას მიეკუთვნება.


43. (ინვ. 590) ინტალიო მუქი ლურჯი ლაქვარდის ქვისა, ადგილ-ადგილ ლეგა ფერის ლაქებით, ვერცხლის ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი.

პირზე გამოხატულია ორი კუზიანი ხარის—ზებუს შეზრდილი პროტომები. ყოველ ხარს დიდი ზომის ნახევარმთვარისებრი მოყვანილობის რქები აქვს, მაღალი კუზი—მარაოსებრი მოყვანილობისა, მეტად სქემატურად შესრულებულია თავი. ბალანი სწორი ხაზებით არის გადმოცემული, ჩლიქები ორორი მოკლე და ჰორიზონტალური ხაზით არის გამოხატული.

პროტომების უკან, ცენტრში სამტოტიანი პალმის ხე არის მოთავსებული. ყოველ ტოტს მარაოსებრი მოყვანილობის ნაპირებშეჭრილი ფართო ფოთოლი აქვს. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი მკვეთრად, იგი დაბალი და ბრტყელი რელიეფით არის შესრულებული. ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა. ძალზე სქემატური ნახელავია. ქვა მქრქალად არის გაპრიალებული.

წაკვეთილკონუსისებრი მოყვანილობის ბუდეზე სქელი და მრგვალი რკალი არის მირჩილული. რკალი მხრებთან ფართოვდება, გვერდებისკენ განზიდულია, ღრუ უნდა იყოს. თვალსა და ბუდის ნაპირები ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული (სურ. 10).



სურ. 10 Рис.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.


ზომები: ინტალიოს სიგრძე—13 მმ, განი—11 მმ, ბეჭდის სიმაღლე—22 მმ, დიამ.—18—13 მმ, რკალი დიამ.—48, ბუდის სიმაღლე—5 მმ.

სამთავრო, 1947 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 650, საველე წიგნ. № 5874. პართული ეპოქით თარიღდება.

✓ 44. (ინვ. 602) ინტალიო მუქი ფერის ლაქვარდისა, ბრინჯაოს ბეჭედს ამკობს. ინტალიო მრგვალია, ბრტყელპირიანი.

პირზე გამოხატულია ფრთოსანი რაშის პროტომა, პროფილში მარჯვნივ გამოხატულება საკმაოდ სქემატურად და სუმარულად არის შესრულებული; ფრთოსან რაშს ყურები აცქვეტილი აქვს, თვალი არ უჩანს. დაბალი ფაფარი ირიბი და ხშირი ხაზებით არის გადმოცემული. ფრთა თავის მიმართულებით არის გადმოკეცილი. რაში თითქოს მიფრინავს. წინ გაშვერილ წინა ფეხებზე ჩლიქები მკრთალად ჩანს. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, საკმაოდ ღრმად; იგი სქემატურად არის შესრულებული. ცალკეული დეტალები სუმარულად არის გადმოცემული. ნახელავი არ გამოირჩევა დიდი სიფაქიზით. თვალი ოსტატს უსწორმასწოროდ გაუთლია.



სურ. 11 Рис.

მრგვალი მავთულის სქელი რკალი დაბალ ბუდეზეა მირჩილული. ბუდე ძირისკენ ვიწროვდება; ძირი ბრტყელი აქვს. თვალისა და ბუდის ნაპირებში თითქოს ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული. ინტალიო ბუდეში ღრმად ზის (სურ. 11).

დაცულობა: ინტალიო ადგილ-ადგილ ატკეცილია, მცირედ, ბუდის ნაპირები ოდნავ შემოკბილულია. ბეჭედი პატინით არის დაფარული.

ზომები: ინტალიოს დიამ.—9 მმ, ბეჭდის სიმ.—22 მმ, დიამ.—16 მმ, რკალის დიამ.—3 მმ, ბუდის დიამ.—11 მმ, ბუდის სიმაღლე—4 მმ.

სამთავრო, 1948 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 706, საველე წიგნ. № 603.

ამოჭრის ტექნიკის, სტილის თავისებურებისა და № 623 გემასთან მსგავსების მიხედვით ინტალიო პართულ ეპოქას მიეკუთვნება.

45. (ინვ. 310) ინტალიო ყავისფერი ფრცხილისა, ცისფერი და გამჭვირვალე ყავისფერი ზოლებით. ბეჭედი მთლიანი ქვისაგან არის გამოთლილი. ფართო რკალი გარედან ამობურცულია; შიდაპირი ბრტყელი აქვს. რკალი უშუალოდ გადადის ოვალური მოყვანილობის ინტალიოში; ინტალიოს ბრტყელი პირი აქვს (ტაბ. 5,45).

პირზე გამოხატულია ზეზე მდგომი ქალი, პროფილში მარჯვნივ. გამოხატულება სქემატურად არის შესრულებული; ქალს გრძელი, ძირს ჩაშვებული თმა აქვს, სწორი ხაზით გადმოცემული. კეფაზე თმა რამდენიმე ღარით არის შესრულებული. ცხვირსა და პირს მკვეთრი ღარები გამოხატავს—სუმარულად. საკმაოდ მოკლე კაბა აცვია. ფეხები ერთ ფართო ღარშია გაერთიანებული.

ფართო ნიადაგის ზოლი მკვეთრად ჩანს. გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, მკვეთრად და არა ღრმად, ბრტყელი რელიეფით არის შესრულებული. საკმაოდ ტლანქი ნახელავია. ბეჭედი ძალიან კარგად არის გათლილი და გაპრიალებული, გამოხატულება მქრქალია.

მსგავსი გამოხატულება ხშირად გვხვდება სასანურ გემებზე. იხ. Horn und Steindorf... მით. ლიტ., ტაბ. II, გამ. 2157. Delaporte. I Fouilles et Missions. ტაბ. 56, გამ. 28 (D. 253). Ackermann. Sasanian seals. გვ. 795, გამ. 273c.

დაცულობა: ბეჭედი ადგილ-ადგილ ატკეცილია, მცირედ.

ზომა: ბეჭდის სიმ.—21 მმ, დიამ.—14 მმ, ინტ. სიგრძე—14 მმ, განი—5 მმ.

მსგავსი ფორმის ბეჭდები ახ. წ. III—IV საუკ. თარიღდება. იხ. Henkel.

მით. ლიტ., ტაბ. LXI, გამ. 1616, 1616 a, 1616 b.

სამთავრო, 1940 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 450, საველე წიგნ. № 3931.

თარიღდება ახ. წ. III—IV საუკ.

46. (ინვ. 210) ინტალიო მუქი ფერის ალმანდინისა (გრანატი), ოქროს ბეჭედში ჩასმული. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა; ბრტყელი პირი აქვს.

პირზე გამოხატულია ფრინველი, პროფილში მარჯვნივ; თავი უკან აქვს მიბრუნებული. გრძელი კისერი საკმაოდ ღრმა და მორკალული ღარით არის გადმოცემული. მოკაუჭებული ნისკარტი ფართოა; ტანი კვერცხისებური მოყვანილობისა აქვს. მოკლე ბოლო რამდენიმე ხაზით არის გადმოცემული. ნაკრ-

ტენი ირიბი, არა ღრმა ღარებით არის შესრულებული. ფრინველს ფრთები ოდნავ გაუშლია, ნისკარტი მარჯვენა ფრთის ქვეშ აქვს მიტანილი. გრძელთითებიანი და ბასრბრქვალეებიანი მოკლე ფეხები; სწორი ხაზებით არის გადმოცემული. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, საკმაოდ არა ღრმად და მკვეთრად, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა.

გულმოდგინედ შესრულებული ნახელავი არ გამოირჩევა დიდი სიფაქიზით. ქვა კარგად არის გაპრიალებული, გამოხატულება მქრქალი და ძალზე სქემატურია.

დაახლოებით მსგავსი გამოხატულებები იხ. Delaporte, I. Fouilles et Missions. ტაბ. 55, გამ. 16, (D. 169); Delaporte. II Acquisitions. ტაბ. 109, გამ. 2 (A 1297). ღია ყვითელი ფერის ოქროს მასივური და მრგვალი რკალი მხრებთან სქელდება; რკალს მირჩილული აქვს წაკვეთილი კონუსისებრი მოყვანილობის ბრტყელძირიანი ბუდე. ბუდის ვიწრო ნაპირები თვალზეა გადმოკეცილი და მჭიდროდ შემოჭედილი (ტაბ. 5, 46).

დაცულობა: ინტალიო რამდენიმე ადგილას ატკეცილია, ძალიან მცირედ-ბეჭედი ოდნავ დეფორმირებულია.

ზომა: ინტალიოს სიგრ.—7 მმ, განი—5 მმ, ბეჭდის სიშ.—20 მმ, ღიამ.—14 მმ, ბუდის სიშ.—4 მმ, რკალის ღიამ.—3 მმ.

სამთავრო, 1940 წ., N უბანი, საცდელი თხრილი 3, ნაშალ მიწიდან. საველე წიგნ. № 4283.

სტილისა და ქვის დამუშავების ტექნიკის მიხედვით ინტალიო პართულ ეპოქას მიეკუთვნება (შდრ. Максимова, დასახ. ნაშრ., ტაბ. III, გამ. 68). ადრეული გემა გვიანდელ ბეჭედში არის ჩასმული დაახლოებით IV—V საუკ. ახ. წ.

47. (ინვ. 589) ინტალიო ნარინჯისფერი სარდიონისა, ბაცი ზოლით კიდეთსან, ვერცხლის ბეჭედს ამკობს. ინტალიო მრგვალია; ამობურცული პირი აქვს, ბრტყელი ქვედაპირი. პირზე გამოხატულია ჰერაკლე და ნემეის ლომი. ჰერაკლეს (პროფილში მარცხნივ) სამოსი არ აცვია; მარჯვენა ხელი ზევით აქვს აპყრობილი, მარცხენა ხელში კომპალა უჭირავს.

გამოხატულება ძალზე სქემატურად არის შესრულებული, ამიტომ სახის ნაკვთების გარჩევა შეუძლებელია; ჰერაკლეს მაღალი კისერი აქვს, ფართო ღარით გადმოცემული. გულ-მკერდი წმინდა ღარით არის ტანისაგან გამოყოფილი. სწორი ხაზებით მოცემული ხელ-ფეხი მეტად სქემატურად გამოიყურება. ტერფები მკვეთრად არის გამოხატული.

დამარცხებული ლომი ჰერაკლეს წინ არის მოთავსებული, გმირს იგი უკანა თათებზე დაუსვამს. ლომი პირაშკმულია; წინა თათები წინ აქვს გაწეული. ტერფები ირიბი ღარებით არის დასერალი, კულაწეულია. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი საკმაოდ ღრმად და მკვეთრად.

ნახელავი არ გამოირჩევა დიდი სიფაქიზით, ტლანქია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ოსტატის თამამი და გაბედული ხელი ჩანს. ქვა ძალიან

კარგად არის გათლილი და ზედმიწევნით გაპრიალებული. გამოხატულება ადგილ-ადგილ მქრქალია. მსგავსი გამოხატულება იხ. Walters. Catalogue of engraved gems. ტაბ. VI, გამ. 299.

წაკვეთილი კონუსის მოყვანილობის მაღალ ბუდეზე მირჩილულია მრგვალი და საკმაოდ სქელი რკალი (ძირთან „წაკვეთილ“ მხარეს). რკალი მხრებთან ოდნავ ფართოვდება, იგი ღრუ უნდა იყოს. ბუდის ნაპირები თავის დროზე გემაზე შემოქედილი ყოფილა (სურ. 12).



სურ. 12 Ряс.

დაცულობა: თვალი ბუდიდან ამოვარდნილია. ინტალიო ზოგან მცირედ ატკეცილია. ბუდეს ნაპირები შემომტვრეული აქვს. ვერცხლი მყიფეა; რკალს ზედაპირი ადგილ-ადგილ „ამოქმული“ აქვს. ბუდის ძირი გაბზარულია ცერად. ზომა: ინტალიოს დიამეტრი—12 მმ, სიმ.—3 მმ, ბეჭდის სიმ—27 მმ, დიამ.—18 მმ, ბუდის სიმ.—7 მმ.

სამთავრო, 1947 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 668, საველ წიგნ. № 5960.

მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტი ბერძნულია, ინტალიო აღმოსავლური წარმოშობისაა.

ქვაზე ამოჭრის თავისებურებისა და სტილის მიხედვით ინტალიო პართული ეპოქით თარიღდება. იგი ცოტა უფრო გვიანდელ ბუდეშია ჩასმული, დაახლოებით ახ. წ. IV საუკ.

48. (ინვ. 312) ინტალიო მუქი ფერის ალმანდინისა (გრანატი), ელექტრუმის ბუდეში ჩასმული. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა; ამობურცული პირი და ოდნავ ჩადრეკილი ქვედაპირი აქვს.

პირზე გამოხატულია შროშანა, ჯერ კიდევ გაუშლელი; ფურცლები წაწვეტებული აქვს, ნაპირებზე მკვეთრად შემოფარგლული. საკმაოდ განიერი ფოთლები „თავებ“ ჩახვეულია. გამოხატულება სტილიზებულია.

ყლორტი სწორი და ღრმა ღარით არის გადმოცემული; ყვავილს ძირთან ბაბთები აქვს შებმული, რომლის გრძელი ბოლოები აკეცილია. ბაბთების ნაკეცი დაძრევი ხაზებით არის გადმოცემული.

გამოხატულების ქვედა ნაწილი არ ჩანს იმის გამო, რომ ინტალიო დაზიანებულია.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი მკვეთრად, არ არის ღრმად ნაკვეთი. სუფთა ნახელავია, იგრძნობა ოსტატის მტკიცე ხელი. ქვა გამოხატულებითურთ კარგად არის გათლილი და გაპრიალებული.

45




310



46




210



48



312



49



202



50



203



მსგავსი გამოხატულება საკმაოდ ხშირია სასანური დროის გემებზე. იხ. Horn und Steindorf. Sassanidische Siegelsteine. ტაბ. V, გამ. 1528. Delaporte. II Acquisitions. ტაბ. 108, გამ. 26 (A. 1270); 28 c (A. 1272). Mordtmann. Studien... ტაბ. I, გამ. 3.

კონუსისებრი მოყვანილობის ელექტრუმის ბუდეზე მირჩილულია მრგვალი, საკმაოდ სქელი რკალი. რკალი მხრებთან ფართოვდება (ღრუ უნდა იყოს). ბეჭედი მოოქროვილი ყოფილა (ოქრო ადგილ-ადგილ შერჩენილა) (ტაბ. 5, გამ. 48).

დაცულობა: თვალი ბუდიდან ამოვარდნილია; ინტალიოს ნაპირი ქვედა ნაწილში ჩამოტეხილი აქვს. ქვედაპირი ატკეცილია ერთგან. ბეჭდის (ვერცხლის) ზედაპირი მარილებმა ისე შექამა, რომ მოოქროვების კვალია დარჩა.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—10 მმ, განი—9 მმ, ბეჭდის სიმაღლე—25 მმ, ბეჭდის დიამ.—17 მმ.

სამთავრო, 1940 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 414, სავლეე წიგნ. № 3444. ამავე სამარხიდან არის ბეჭდები №№ 49, 50, 51.

ამოჭრის ტექნიკისა და სტილისტური თავისებურებების მიხედვით ინტალიო პართული ეპოქით თარიღდება.

49. (ინვ. 202). ინტალიო—ბეჭედი, ბრინჯაოსი. რომბისებური მოყვანილობის. ინტალიო უშუალოდ რკალში გადადის; ინტალიოს ბრტყელი პირი აქვს.

გამოხატულება ძალიან მკრთალად ჩანს. პირზე ვარსკვლავია გამოხატული. იხ. № 203. შდრ. Delaporte. I Fouilles et Missions. ტაბ. 56, გამ. 57 (D. 282).

დაცულობა: ბეჭედი პატინისაგან შექმულია, ამიტომ გამოხატულება ძალიან ბუნდოვნად ჩანს (ტაბ. 5, 49).

ზომა: ინტ. სიგრძე—6 მმ, განი—5 მმ, ბეჭდის სიმაღლე—16 მმ, დიამ.—14 მმ.

სამთავრო, 1940 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 414, სავლეე წიგნ. № 3440. ამავე სამარხიდან არის N № 203, 204.

პართული ეპოქა № 312 ბეჭდის საფუძველზე.

50. (ინვ. 203) ინტალიო—ბეჭედი ბრინჯაოსი. რომბისებრი მოყვანილობის, ინტალიო უშუალოდ გადადის ბეჭდის რკალში; მას ბრტყელი პირი აქვს.

პირზე გამოხატულია ექვსქიმიანი ვარსკვლავი. გამოხატულება მკრთალად ჩანს, ამოჭრილი უნდა იყოს. ტექნიკაზე ვერაფერს ვიტყვით, რადგან გამოხატულება პატინამ შექამა (ტაბ. 5, 90).

ანალოგიური გამოხატულება საკმაოდ ხშირია სასანური დროის გემებზე. იხ. Delaporte. I Fouilles et Missions. ტაბ. 50, გამ. 57 (D. 282).

ბეჭდის რკალი ვიწროა, შიგნიდან ბრტყელი; ზედაპირზე მომრგვალებული კონტურიანი წიბო აქვს გამოყვანილი.

მსგავსი მოყვანილობის ბეჭდები III—IV საუკ. მიეკუთვნება. იხ. Henkel. დასახ. ნაშრომი.

4. მარგ. ლორთქიფანიძე

დაცულობა: ბეჭედი პატინის სქელი ფენით არის დაფარული.

ზომა: ინტ. სიგრძე—7 1/2 მმ, განი—4 მმ, ბეჭდ. სიმ.—17 მმ, დიამ.—13 მმ.

სამთავრო, 1940 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 414, საველე წიგნ. № 2527. ამავე სამარხიდან არის №№ 312, 202, 204.

ბეჭედი მასთან ერთად აღმოჩენილი ბეჭდების საფუძველზე მიეკუთვნება პართულ ეპოქას.

51. (ინვ. 204) ინტალიო—ბეჭედი, ბრინჯაოსი. რომბისებრი მოყვანილობის, ინტალიო უშუალოდ გადადის ბეჭდის რკალში. რკალი შიგნიდან ბრტყელია, გარედან წიბო აქვს გამოყვანილი, № 202 და № 203 ბეჭდების ტიპისაა. გამოხატულება მკრთალად ჩანს, აქაც ვარსკვლავია გამოხატული. შდრ. Delaporte. I Fouilles et Missions. ტაბ. 56, გამ 57 (D. 282).

დაცულობა: პატინისაგან შექმნილი ბეჭედი ხუთად არის გატეხილი.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—7 მმ, განი—5 მმ, რკალის განი—3 მმ.

სამთავრო, 1940 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 414, საველე წიგნ. № 3440. ბეჭედი მასთან აღმოჩენილი ბეჭდების მიხედვით თარიღდება პართული ეპოქით.

52. (ინვ. 599) ინტალიო—ბეჭედი მუქი ყავისფერი აქატისა, ბაცი ზოლებით. ბეჭედი მთლიანი ქვისაგან არის გამოთლილი. ოვალური მოყვანილობის, ინტალიო უშუალოდ გადადის ბეჭდის რკალში. რკალის ზედაპირი ამობურცულია; შიდაპირი ბრტყელი აქვს. ინტალიო ბრტყელია, შედრეკილქვედაპირიანი.

პირზე გამოხატულია ლომი, პროფილში მარჯვნივ, მიმავალი. გამოხატულება სქემატურად არის შესრულებული. მეტად სუმარულადაა გადმოცემული ლომის თავი. ფაფარი ლომს დაბალი აქვს, თვალი არ უჩანს; გრძელი კუდი ზევით აქვს აწეული. გაშლილი ფეხები სწორი ხაზებით არის გადმოცემული (ტაბ. 6, 52). გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზხა ამოჭრილი, მკვეთრად და არა ღრმად, საკმაოდ ბრტყელი რელიეფით არის შესრულებული. ტლანკი ნახელავია. ინტალიოს პირი გაპრიალებულია; გამოხატულება ოსტატს მქრქალად დაუტოვებია.

ზედმიწევნით გაპრიალებული ბეჭედი ფაქიზად არის გათლილი. ქვა ოსტატს კარგად დაუძუშავებია.

მსგავსი ფორმის ბეჭდები ახ. წ. III—IV საუკ. თარიღდება. იხ. Henkel. დასახ. ნაშრ., ტაბ. LX, გაკ. 1616, 1616 a, 1616 b.

დაცულობა: პირი ერთგან გატეხილია; ბეჭედს რამდენიმე ადგილას ანატეცები აქვს.

ზომები: ინტ. სიგრძე—16 მმ, განი—8 მმ, ბეჭდის სიმ.—23 მმ, დიამ.—16 მმ, რკალის განი—7 მმ.

სამთავრო, 1948 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 734, საველე წიგნ. № 6333.

ამოჭრის ტექნიკისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო III—IV საუკ. თარიღდება.

53. (ინვ. 331) ინტალიო—საბეჭდავი ნარინჯისფერი სარდიონისა. ქვა ზოგან მუქი ვარდისფერია, მოწითალო ზოლებითა და ლაქებით.

საბეჭდავი შებრტყელებული სფეროიდის ფორმისაა, ცალ მხარეს წაკვეთილი, გამოხატულება წაკვეთილ მხარეზეა ამოჭრილი, ქვაში გაკეთებული ნახვრეტი ზონრისათვის; საბეჭდავს ე. წ. ცრუბეჭდის ფორმა აქვს. საბეჭდავის ზურგი ორნამენტირებულია, განსაკუთრებით „მხრებთან“ (ტაბ. 6, 53).

პირზე გამოხატულია ცხენი, პროფილში მარჯვნივ, თავდახრილი; დრუნ-ჩი მარცხენა წინა ფეხთან აქვს მიტანილი. გამოხატულება ძალზე სქემატურად არის შესრულებული. ცხენს გრძელი კისერი აქვს, მაღალი ფეხები, მკვეთრად გამოხატული ჩლიქები. გრძელი ძუა სწორი ღარით არის გადმოცემული.

ფურღები და გულ-მკერდი ირიბი ღარებითაა დასერილი. ფეხთ შორის გაუჭკვეველი საგანი ჩანს. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, მკვეთრად და არა ღრმად, საკმაოდ ტლანქი და დაუდევარი ნახელავია; საბეჭდავის ზურგი წმინდად და ფაქიზად არის დამუშავებული. ქვა კარგად არის გაპრიალებული.

დაცულობა: საბეჭდავი რამდენიმე ადგილას გაბზარულია სისქეში; ადგილ-ადგილ ანატკეცები აქვს.

ზომები: პირის სიგრძე—20 მმ, განი—14 მმ, საბეჭდ. სიმაღ.—21 მმ.

სამთავრო, 1940 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 444, საველე წიგნ. № 3808.

ამოჭრის მანერისა და საბეჭდავის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ. წ. III—IV საუკ. თარიღდება.

54. (ინვ. 588) ინტალიო აღმანდინისა (გრანატი), მუქი ფერის, ბრინჯაოს ბეჭედს ამკობს. ინტალიო მრგვალი მოყვანილობისაა; ბრტყელი პირი აქვს.

პირზე გამოხატულია სირაქლემა, პროფილში მარჯვნივ, თავი დახრილი აქვს, საკვებს ეძებს. ფრინველის ფეხთით თევზია გამოხატული, თითქოს კლანჭებში უჭირავსო; ფრინველს გრძელი კისერი აქვს, სწორი ღარით გადმოცემული. ფრთები და ნისკარტი წმინდა ღარებით არის შესრულებული. სირაქლემას ფეხები სახსრებში მოკეცილი აქვს, თავი სუმარულად არის გადმოცემული. გულ-მკერდი ფრთისაგან რკალისებრი მოყვანილობის ღარით არის გამოყოფილი, ბოლო მოკლე აქვს, წმინდა ღარებით შესრულებული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი მკვეთრად და არა ღრმად. ანატკეცებზე დაბალ რელიეფს იძლევა. საკმაოდ გულმოდგინე და სუფთა ნახელავია. ქვა გამოხატულებითურთ კარგად არის გათლილი და გაპრიალებული.

მსგავსი გამოხატულებები იხ. Carnegie. Catalogue of the collection of sancient gems. II. ტაბ. I, გამ. P. 23. Horn und Stindorf. Sassanidische Siegelteine. ტაბ. IV, გამ. 1479; Delaporte. II Acquisitions. ტაბ. 109, გამ. A. 1300 b.

კონუსის მოყვანილობის მაღალი ბუდე მირჩილულია მრგვალ რკალზე. რკალი მხრებთან ფართოვდება. ბუდის საკმაოდ ფართო ნაპირები თვალის მიმართულებით არის გადმოკეცილი. ბუდის და თვალის ნაპირები ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული (ტაბ. 6, 54).

დაცულობა: ინტალიო ორგან ატკეცილია, მცირედ; ბუდეს ძირი ამოტეხილი აქვს. პატინამ ბრინჯაო დააზიანა, ზედაპირი ამყამად თითქოს ხორკლიანია. ადგილი, სადაც რკალი და ბუდე უერთდება ერთმანეთს, გახსნილია.

ზომა: ინტ. დიამ.—7 მმ, ბეჭდის სიმ.—26 მმ, დიამ.—17 მმ, ბუდის სიმ.—8 მმ, რკალის დიამ.—4 მმ.

სამთავრო, 1947 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 649, საველე წიგნ. № 5854.

სტილის, ამოჭრის ტექნიკისა და ბეჭდის მიხედვით ინტალიო ახ. წ. III—IV საუკ. უნდა მიეკუთვნოს.

V 55. (ინვ. 602) ინტალიო ღია ფერის ლაჟვარდისა, პირზე ერთგან თეთრი ლაქა აქვს. ვერცხლის ბეჭედს ამკობს. ოვალური მოყვანილობის, ინტალიო ქვედაპირისკენ ვიწროვდება, პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი დაქანებული აქვს. ინტალიო ბრტყელპირიანია, ასეთივე ქვედაპირით.

პირზე გამოხატულია ფრთოსანი რაში, პროფილში მარჯვნივ, თავდახრილი. რაშის თავი სუმარულად არის შესრულებული, თვალს პაწია ჰორიზონტალური ხაზი გამოხატავს. მაღალი ფაფარი სწორი შვეული ხაზებით არის გადმოცემული; რაშს დიდი ფრთა აქვს, რომლის ბოლო თავის მიმართულებით არის გადმოკეცილი. გრძელი ძუა ძირსაა ჩაშვებული. ფერდს სანი პარალელური ღარი ჰკვეთს. მოკლე ფეხებიანია. ჩლიქები მკაფიოდ ჩანს. ინტალიოს ნაპირზე, ცალ მხარეს, რაშის თავიდან კუდამდე, წყვეტილი ღარია ამოკვეთილი.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი არა ღრმად და მკვეთრად, ბრტყელი რელიეფით შესრულებული, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული. გამოხატულება მქრქალია.

მსგავსი გამოხატულებები იხ. სასანურ გემებზე. Horn und Steindorf. Sasanidische Siegelsteine. ტაბ. IV, გამ. 1405. Delaporte II Acquisitions. ტაბ. 111, გამ. 3 (B. 1417). Horne. Sasanidische gemmen. ZDMG, 18, ტაბ. II a, გამ. 488, Mordtmann. Studien... ტაბ. IV, გამ. 31.

ბეჭდის წაკვეთილკონუსისებრი მოყვანილობის ბუდეზე მრგვალი და სქელი რკალი არის მიჩნეილი. ცალ მხარეს, ბეჭდის მხარზე (ბუდესა და რკალს შორის) დარჩილული აქვს მოზრდილი ბირთვი. ბუდეს კიდზე ბრტყელი ნაპირი აქვს დარჩილული. [თვალი ბუდეში პასტით ყოფილა ჩამაგრებული (სურ. 13).



სურ. 13 Рис.

დაცულობა: ინტალიო ბუდიდან ამოვარდნილია; ქვედაპირი ორგან ატკეცილი აქვს. ბუდის ნაპირები შემომტკრეულია. ბეჭედი ჟახვის საკმაოდ სქელი ფენით არის დაფარული.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—11 მმ, განი—10 მმ, ბეჭდის სიმაღლე—26 მმ, დიამ.—18—16 მმ, რკალ. დიამ.—4 მმ.

სამთავრო, 1948 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 703, საველე წიგნ. № 602. სტილისა, ქვაზე ამოჭრის ტექნიკისა და აგრეთვე ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ. წ. III—IV საუკ. თარიღდება.

56. (ინვ. 592) ინტალიო ღია ფერის პიროპისა (გრანატი), ვერცხლის ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, პირი ამობურცული, ზოლო ქვედაპირი ბრტყელი აქვს.

პირზე ამოჭრილია ე. წ. სასანური მონოგრამა. „მონოგრამა“ თავისი მოყვანილობით ხეს ან მცენარეს მოგვაგონებს, ნახევარმთვარისებრი მოყვანილობის შტოვებით; ქვედა ნაწილში ჰორიზონტალური ღარი აქვს ამოკვეთილი, თითქოს ნიადაგზე დგასო. გამობატულება მეტად სქემატურია, მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამობატულება დაზგაზეა ამოჭრილი, მკვეთრად. ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა. საკმაოდ ტლანქი ნახელავია, ქვა კარგად არის გაპრიალებული. გამობატულება მჭრქალია. მრგვალი მავთულის წვრილ რკალს მიჩილული ჰქონდა მაღალი, პირგადაშლილი ბუდე. ბუდე ბრტყელძირიანი ყოფილა. მხრებზე, რკალს ბუდესთან, თითო პაწია ელექტრუმის ბირთვი აქვს დარჩილული (ტაბ. 6, 56).

მსგავსი ფორმის ბეჭედები ახ. წ. IV საუკ. თარიღდება. შდრ. Henkel. მით. ლიტ., ტაბ. XXIV, გამ. 464, 464 a, 464 b.

დაცულობა: ინტალიოს ქვედაპირი ატკეცილი აქვს. ბუდისაგან პატარა ნატეხია დარჩენილი. ბუდე და რკალი ცალ-ცალკეა. ვერცხლი ძალზე მყიფეა.

ზომა: ინტ. სიგრ.—7 მმ, განი—5 მმ, ბეჭდის დიამ.—14 მმ, რკალის დიამ.—1 მმ.

სამთავრო, 1947 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 666, საველე წიგნ. № 5899.

ამოჭრის მანერისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო III—IV საუკ. თარიღდება.

57. (ინვ. 190) ინტალიო მოწითალო ფერის სარდიონისა. იგი ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი, ქვედაპირისკენ ოდნავ ფართოვდება; პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი დაქანებული აქვს.

პირზე გამობატულია მწოლიარე ანტილოპა, პროფილში მარჯვნივ, გამობატულება სქემატურად არის შესრულებული; ანტილოპას გრძელი, ოდნავ გაღუნული და უკან გადაყრილი რქები აქვს. თავი სუმარულადაა გადმოცემული, თვალი არ უჩანს. ყურა სწორი ხაზით არით შესრულებული. გულ-მკერდი განსაკუთრებულად გამონაკვთული ხაზებით არის დასერილი. ფეხები ღრმა და სწორი ღარებით არის გადმოცემული; ჩლიქები საკმაოდ მკვეთრად ჩანს; კუდი მოკლე აქვს.

გამოხატულებას გარს ავლია წმინდა ღარებისაგან შედგენილი გრეხილი ორნამენტი.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, საკმაოდ ღრმად. სქემატურად შესრულებული ნახელავი არ გამოირჩევა დიდი სიფაქიზით; იგი თამამი ხელით არის შესრულებული.

ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული, გამოხატულება მჭრქალია; იგი ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა.

მსგავსი გამოხატულებები იხ. სასანური დროის გემებზე. Delaports. II Acquisitions. ტაბ. 109, გამ. 27 (A. 1316); 13 (A. 1320), 32, (A. 1321). Захаров. Геммы и античные перстни Государственного Исторического Музея. РАЦИОН в. 3. М. 1928, ტაბ. VI, გამ. 69. Horn und Steindorf. Sassanidische Siegelsteine. ტაბ. III, გამ. 1311 (ჰორნისეულ გემაზე ანტილოპა ზეზე მდგომია).

დაცულობა: ინტალიო ორგან გაბზარულია სისქეში; ადგილ-ადგილ ატკეცილია მცირედ.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—13 მმ, განი—12 მმ, სისქე—3 მმ.

სამთავრო, 1940 წ., S უბანი, ქვისსამარხი № 251, საველე წიგნ. 2298. ამავე სამარხიდან იხ. № 191. დაახლოებით ახ. წ. III—IV საუკ. თარიღდება.

V 58. (ინვ. 191) ინტალიო ღია ფერის ლაჟვარდის ქვისა; პირი ქვას გადანაცრისფერებული აქვს, ადგილ-ადგილ მოოქროსფრო წინწყლებით. ოვალური მოყვანილობის ინტალიო ქვედაპირისკენ ოდნავ ვიწროვდება. პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი ოდნავ დაქანებულია; ინტალიოს ბრტყელი პირი და ასეთივე ქვედაპირი აქვს.

პირზე გამოხატულია კუზიანი ხარი—ზებუ, პროფილში მარჯვნივ. ცხოველს დიდი, ნახევარმთვარისებრი მოყვანილობის რქები და სუმარულად გადმოცემული თავი აქვს. მეტად მაღალი ქედი მარაოს მოყვანილობისაა; მოკლე და სქელი კისერი აქვს. ბალანი ფეხებსა და გულ-მკერდზეა მოცემული სწორი და წმინდა ღარებით. ძირს ჩაშვებული გრძელი კუდი ინტალიოს კიდეს ეხება. მაღალი ფეხები აქვს, ჩლიქები მკაფიოდ ჩანს. ინტალიოს კიდესე თავიდან კუდამდე ამოკვეთილია წყვეტილი ღარი. ზებუს თავსა და წინა ფეხს შორის რალაც ნიშანია გამოხატული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, მკვეთრად და არა ღრმად. საკმაოდ სუფთა ნახელავია. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული.

გამოხატულება ანაბეჭდზე მკვეთრ და დაბალ რელიეფს იძლევა. მსგავსი გამოხატულებები სასანური დროის გემებზე ხშირად გვხვდება. იხ. Delaporte. II Acquisitions. ტაბ. 110, გამ. 17 (A. 1367). 21 (A. 1372). Horn und Steindorf. Sassanidische Siegelsteine. ტაბ. III, გამ. 1260, 1261, 1269.

დაცულობა: ქვედაპირი ატკეცილია სამგან. ქვა გამოფიტულია.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—12 მმ, განი—10 მმ, სისქე—2 მმ.

სამთავრო, 1940 წ., S უბანი, ქვისსამარხი № 251, საველე წიგნი № 2299. ამავე სამარხიდან იხ. № 190.

დაახლოებით ახ. წ. III—IV საუკ. თარიღდება.

59. (ინვ. 227) ინტალიო—ბეჭდის ფრაგმენტი, მუქი ნარინჯისფერი სარდიონისა, ადგილ-ადგილ მოწითალო ლაქებით და წინწყლებით.

VI


52



599



53



313



54



588




56



592



59



227



მთლიანი ქვისაგან გამოთლილი ბეჭედი ზედა ნაწილში წაკვეთილია. წაკვეთილი ადგილი ბრტყელია, ოვალური მოყვანილობისა; ზედ ინტალიო არის ამოჭრილი. იგი ბეჭდისაგან დაბალი, მაგრამ მკვეთრად გამოხატული წახნაგით არის გამოყოფილი (ტაბ. 6, 59).

ბრტყელ პირზე გამოხატულია სიმბოლური თავი გაღმერთებული ბდა; მიანისა—მამაკაცის. შუბლი და ცხვირის ნაწილი არ ჩანს (იმის გამო, რომ ბეჭდისაგან მცირე ნაწილია დარჩენილი). ფართოდ გაღებული თვალი ამობურცული აქვს; მამაკაცს კეხიანი ცხვირი უნდა ჰქონდეს. თავსაბურავზე, რომელიც მას თავს უმკობს, გრიფონის თავ-კისერია დამაგრებული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, მკვეთრად. ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა. წმინდა და ფაქიზი ნახელავია, არ არის ღრმად ნაკვეთი. სუფთად გათლილი ბეჭედი გულმოდგინედ არის გაპრიალებული. გამოხატულება მკრქალია.

მსგავსი გამოხატულება საკმაოდ ხშირად გვხვდება სასანური დროის გემებზე. იხ. Ackermann, Sasanian seals. A Survey of Persian Art IV, ტაბ. 255. Mordtmann. Studien über Geschnittenen Steine mit Pehlevi—Inschriften ZDMG. XVIII, Leipzig, 1864. ტაბ. III, გამ. 116.

ბეჭედს სქელი და განიერი რკალი აქვს, გარედან ამობურცული, ბრტყელი და ჩადრეკილშიდაპირიანი.

მსგავსი ბეჭდები ჩვ. წ. III—IV საუკ. მიეკუთვნება. იხ. Henkel. დასახ. ნაშრ., ტაბ. LX, გამ. 1616, 1616a, 1616b.

დაცულობა: ბეჭდისაგან დარჩენილია $\frac{1}{3}$, ამიტომ გამოხატულების მეტად მცირე ნაწილი ჩანს.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—8 მმ, განი—7 მმ, ბუდისებრი ნაწილის სიმა—4 მმ, რკალის სისქე—6 მმ.

სამთავრო, 1940 წ., S უბანი, ფართობი 209, საველე წიგნ. № 2435.

ინტალიო ახ. წ. III—IV საუკ. თარიღდება.

✓ 60. (ინვ. 317) ინტალიო მუქი ფერის ლავეარდის ქვისა, ვერცხლის ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი. პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი ზოგან მალაღია, ზოგან დაბალი.

ინტალიოს დაქანებული ქვედაპირი აქვს.

პირზე გამოხატულია ნახევარი მთვარე და ექვსქიმიანი მნათობი. ქიმები თანაბარი ზომისა არ არის—ზოგი გრძელია, ზოგიც მოკლე. გამოხატულება სქემატურად არის შესრულებული.

ინტალიო დაზგაზეა ამოჭრილი მკვეთრად. ტლანქი ნახელავია. გამოხატულება არ არის ღრმად ნაკვეთი, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა. ქვეცუდად არის გათლილი—უწესო ფორმისაა; უსწორნასწორო ნაპირები აქვს. ინტალიო მკრთალად არის გაპრიალებული (ტაბ. 7, 60).

ანალოგიური გამოხატულებები სასანურ გემებზე იხ. Horn und Steindorf. Sassanidische Siegelsteine. ტაბ. V, გამ. 1538, 1539.

ბეჭდის რკალი საკმაოდ სქელი და მრგვალი მავთულისაგან არის გაკეთებული; ცალ ძხარეზე რკალს დარჩილული აქვს საშუალო ზომის ბირთვი. ბუდის მოყვანილობაზე ვერაფერს ვიტყვით, რადგან არაფერია დარჩენილი.

ბეჭდის რკალი ახ. წ. IV საუკ. ბეჭდებს მოგვაგონებს. იხ. №№ 306, 602 და სხვ.

დაცულობა: ინტალიო ადგილ-ადგილ ატყეცილი და დაკაწრულია. ბუდე მოტეხილია და არ ახლავს ბეჭედს. რკალი ადგილ-ადგილ დაქყლვტილია მცირედ.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—10 მმ, განი—8 მმ, სიმაღლე—5 მმ, რკალის დიამ.—2 მმ, ბირთვის დიამ.—3 მმ, ბეჭდის დიამ.—17 მმ.

სამთავრო, 1940 წ., N უბანი, ნაშალ მიწიდან. თხრილი VIII, საველე წიგნ. № 3736.

ინტალიო დაახლოებით ახ. წ. IV საუკ. მიეკუთვნება.

61. (ინვ. 595) ინტალიო მომწვანო ფერის გამჭვირვალე მინისა, ბრინჯაოს ბეჭედს ამკობს. ინტალიო მრგვალი მოყვანილობისაა, ბრტყელი.

პირზე გამოხატულია მოხრილმკლავებიანი ჯვარი—სიმბოლური ნიშანი. მკლავები თანაბარი აქვს. გამოხატულება არ არის ცენტრში მოხვედრილი, მაგრამ მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება ჩამოსხმულია, მკვეთრად არის გამოსული.

ბეჭედს მრგვალი მოყვანილობის მაღალი და ღრმა ბუდე აქვს, რომელზედაც მრგვალი მავთულის საკმაოდ სქელი რკალი არის მირჩილული. რკალი გვერდებისაკენ ოდნავ განზიდულია; ბუდეს ბრტყელი ძირი აქვს (სურ. 14).

მსგავსი ბეჭდები ახ. წ. IV საუკ. მიეკუთვნება. შდრ. Henkel. Die römischen



სურ. 14 Рис.

Fingerringe... ტაბ. XIV, გამ. 275, 275 a, 275 b.

დაცულობა: ინტალიო გაბზარულია სისქეში. მინა ირიბებულია მცირედ, პატინით დაფარული ბუდე გატეხილია.

ზომები: ინტალიოს დიამ.—7 მმ, ბეჭდის სიმაღლე—24 მმ, დიამ.—19—15 მმ, რკალის დიამ.—3 მმ.

სამთავრო, 1947 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 674, საველე წიგნ. № 5981 (სამარხი არეული იყო).

ბეჭდის ფორმის მიხედვით ახ. წ. IV საუკ. თარიღდება.

V 62. (ინვ. 306) ინტალიო მუქი ფერის ლაქვარდის ქვისა, ვერცხლის ბეჭედში ჩასმული. ინტალიო მრგვალია; ბრტყელი პირი აქვს. ამჟამად ჩადრეკილი იმის გამო, რომ გემა დაზიანებულია.

პირზე გამოხატულია მწოლიარე ირემი, პროფილში მარჯვნივ; თავი უკან აქვს მიბრუნებული. გამოხატულება საკმაოდ სქემატურად არის შესრულებული; ირემს დიდი დატოტვილი რქები აქვს, მკვეთრად გამოხატული დიდი თვალი. დაბალკისრიანია. ირემს კისერზე ფართო და გრძელი ბაბთი აქვს შებმული, რომლის ბოლო ჰაერში ფრიალებს. ქსოვილის ნაკეცები წმინდა ღარებით არის გადმოცემული. სახსრებში მოკეცილი ფეხები ღრმა ღარებით არის შესრულებული. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზგა ამოჭრილი არა ღრმად და მკვეთრად. ნახე-ლაფი არ გამოირჩევა დიდი სიფაქიზითა და ოსტატობით. ჩანს ქვა გაპრია-ლებული ყოფილა.

მსგავსი გამოხატულება ძალიან ხშირია სასანურ გემებზე. იხ. Delaporte. I Fouilles et Missions. ტაბ. 55, გამ. 43 (D. 196); 44 (D. 197). Delaporte. II Acquisitions. ტაბ. 109, გამ. 42 (A. 1331); 46 (A. 1334). Carnegie. Catalogue of antique gems. II. London, MCMVIII. ტაბ. I, გამ. p. 12. Horn und Steindorf. Sassanidische Siegelsteine. ტაბ. II, გამ. 1213. A Survey of Persian Art. ტაბ. 255, გამ. NN.

ბეჭედს წაკვეთილი კონუსისებრი ბუდე აქვს, საკმაოდ მაღალი. ბუდეზე მირჩილულია მრგვალი მავთულის მოსქო რკალი; ბუდეს ბრტყელი ძირი აქვს. ვიწრო ნაპირი თვალზე არის გადმოკეცილი. ბეჭედს მხარზე ბუდესთან (ცალ მხარეს) დარჩილული აქვს მოზრდილი ბირთვი (ტაბ. 7, 306).

მსგავსი მოყვანილობის ბეჭედები ახ. წ. IV საუკ. მიეკუთვნება. იხ. Henkel. დასახ. ნაშრ., ტაბ. XIV, გამ. 276, 276 a, 276 b.

დაცულობა: გემა მთელ სიგრძეზეა ვატეხილი. მარჯვენა ნაპირი ჩატეხილი აქვს ღრმად. ბეჭედი კარგად არის შენახული.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—11 მმ, განი—10 მმ, ბეჭდის სიმაღლე—25 მმ, დიამ.—19—16 მმ.

სამთავრო, 1940 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 335, საველე წიგნ. № 3284. ინტალიო ახ. წ. IV საუკ. თარიღდება.

63. (ინვ. 314) ინტალიო თეთრი პასტისა, ნაპირი მონაცრისფრო აქვს, ვერცხლის ბეჭედს ამკობს. მრგვალი მოყვანილობის, ინტალიო ქვედაპირისკენ ოდნავ ფართოვდება; ინტალიოს ბრტყელი პირი აქვს. პირზე გამოხატულია ე. წ. სასანური მონოგრამა—გეომეტრიული მოტივი, რომელიც შედგენილია მეტად სტილიზებული ბაბთებისა ხარის რქებისა და ფრთებისაგან. გამოხატულება დატვიფრული უნდა იყოს. იგი მკვეთრად არის გამო-სული, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა. თვალს წესიერი ფორმა აქვს მიცემული.

მსგავსი გამოხატულებები იხ. სასანურ გემებზე. Horn und Steindorf. Sassanidische Siegelsteine. ტაბ. V, გამ. 1557. Ackermann. Sasanian seals. A

Survey of Persian Art. I, გვ. 805, გამ. 278 f. დაახლ. გ. და O. Delaporte. II Acquisitions. ტაბ. 111, გამ. 48 (A. 1457). Zakharow. Gemmen und Siegeln des Museums Georgiens. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, V, თბ., 1930 წ., ტაბ. III, გამ. 102. Horn. Sassanidische Gemmen. ZDMG. 44, ტაბ. II a, გამ. 582. მსგავსი გამოხატულება სასანურ რელიეფზედაც ხშირად გვხვდება. იხ. A Survey of Persian Art IV, ტაბ. 174 a, c.

ბეჭედს წაკვეთილი კონუსის მოყვანილობის ბუდეზე მირჩილული აქვს ღრუ, მრგვალი რკალი, რომელიც მხრებთან ფართოვდება; ბუდეს ვიწრო ნაპირები აქვს, თვალის მიმართულებით გადმოკეცილი. თვალი ბუდეში მალლა ზის (ტაბ. 7, 63).

დაცულობა: ინტალიო ორგან ატკეცილია, ადგილ-ადგილ დაკენკილი. ბეჭედი ზოგან პატინით არის დაფარული.

ზომები: ინტალიოს დიამ.—9 მმ, ბეჭდის სიმ.—26 მმ, დიამ.—18—14 მმ, რკალის უდ. დიამ.—5 მმ, უმც. დიამ.—3 მმ.

სამთავრო, 1940 წ., N უბანი, ნაშალ მიწიდან. საველე წიგნ. № 3450. ინტალიო სასანურია.

64. (ინვ. 593) ინტალიო — საბეჭდავი, ბრინჯაოსი. მრგვალი მავთულის მოსქო რკალზე მირჩილულია კონუსისებრი მოყვანილობის მალალი საბეჭდავიანი ნაწილი.

ინტალიოს ოდნავ ამობურცული მრგვალი პირი აქვს. ქვედაპირი კონუსს წარმოადგენს (ტაბ. 7, 64).

პირზე გამოხატულია მონოგრამა. ინტალიოს ცენტრში გავლებულია სწორი ხაზი, რომელსაც თავსა და ბოლოში ნახევარი რკალები ამოლოვებს. მონოგრამა რუსულ „Ж“-ს მოგვაგონებს ე. წ. სასანური მონოგრამების სახესხვაობა უნდა იყოს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი მკვეთრად. ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა. გამოხატულება საკმაოდ ტლანქად არის შესრულებული.

დაცულობა: ბრინჯაო ადგილ-ადგილ დაზიანებულია იმის გამო, რომ პატინით იყო დაფარული.

ზომები: ინტ. დიამ.—8 მმ, სიმაღლე—6 მმ, ბეჭდ. სიმ.—25 მმ, დიამ.—16 მმ, რკ. დიამ.—2 მმ.

სამთავრო, 1947 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 670, საველე წიგნ. № 5942. სასანური ხანისა.

65. (ინვ. 316) ინტალიო ბრინჯაოსი, მრგვალი მოყვანილობისა, ქვედაპირი ამობურცული აქვს, პირბრტყელია.

გამოხატულება ბუნდოვნად ჩანს იმის გამო, რომ ინტალიო პატინის სქელი ფენით არის დაფარული.

პირზე გრძელბოლოიანი ფრინველი უნდა იყოს გამოხატული; მრგვალი თავი აქვს, საკმაოდ ფართო და გრძელი ნისკარტი, მოკლე ფეხები.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, à la bouterolle. გამოხატულება ანაბეჭდზე მალალ რელიეფს იძლევა.

დაცულობა: ინტალიო პატინით არის დაფარული.

60



317




62



306



63




314



64



593



ზომა: დიამ.—8 მმ, სიმაღლე.—3 მმ.

სამთავრო, 1940 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 400, საველე წიგნ. № 3380. ტექნიკის მიხედვით ინტალიო სასანურ ეპოქას მიეკუთვნება.

66. (ინვ. 604) ინტალიო ლურჯი მინისა, ბრინჯაოს ბეჭედს ამკობს. მრგვალი მოყვანილობის ინტალიო ბრტყელია.

პირზე გამოხატულია ოთხფურცლიანი ყვავილი. ყვავილის ფურცლები გულისკენ ვიწროვდება, სამყურას ფურცლებს მოგვაგონებს.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს. ინტალიო ჩამოსხმულია. გამოხატულება მკრთალად არის გამოსული, ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

ბეჭედს მაღალი ბუდე აქვს, რომელიც ძირისკენ ოდნავ ვიწროვდება. ბუდის ფართო ნაპირი თვალის მიმართულებით არის გადმოკეცილი. ჩანს, თვალისა და ბუდის ნაპირები ერთ სიბრტყეზე ყოფილა მოთავსებული; ბუდეს მოსქო მავთულის მრგვალი რკალი აქვს მირჩილული.

დაცულობა: ირიზებული ინტალიო ორად არის გატეხილი. თვალი ბუდიდან ამოვარდნილია.

ბეჭდისაგან დარჩენილია $\frac{1}{2}$; ბუდეს ძირი მოტეხილი აქვს. ბრინჯაოს სქელი ფენის ქანგით არის დაფარული.


ზომები: ინტ. დიამ.—5 მმ, ბუდის სიმაღლე—4 მმ, რკ. დიამ.—2 მმ.

სამთავრო, 1948 წ., N უბანი, საველე წიგნ. № 6374.

სასანურია.

67. (ინვ. 585) ინტალიო—ბეჭედი ვერცხლისა. ინტალიო მრგვალი მოყვანილობისაა, ბრტყელი, საკმაოდ სქელი ფირფიტისაგან გაკეთებული.

პირზე გამოხატულია მზის სიმბოლო; სხივები დახრილი ღარებით აქვს გადმოცემული (სურ. 15).



სურ. 15 Рис.

გამოხატულებას გარს უვლის საკმაოდ ღრმა ღარი. იგი მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება საჭრისითაა ამოჭრილი, მკვეთრად და საკმაოდ ღრმად. ვიწრო მავთულის მრგვალ რკალზე მრგვალი ინტალიო არის მირჩილული.

მირჩილვის ადგილი ისე კარგად არის მოპირკეთებული, რომ კვალი არ ჩანს. დაცულობა: ბეჭედი ოდნავ დეფორმირებულია.

ზომა: ინტალიოს დიამ.—8 მმ, ბეჭდის სიმაღლე.—21 მმ, ბეჭდის დიამეტრი—18 მმ, რკალის დიამ.—2 მმ.

სამთავრო, 1946 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 625, საველე წიგნ. № 5442. სასანური უნდა იყოს.

68. (ინვ. 586) ინტალიო ბრინჯაოსი, ვერცხლის ბუდეში ჩასმული. მრგვალი ინტალიო ბუდეში ღრმად ზის. ბუდის ნაპირები შემოჭედილია ინტალიოს პირზე.

ინტალიოს ბრტყელი პირი აქვს.

გამოხატულება თანაბარმკლავებიან ჯვარს მოგვაგონებს, რომელიც ნახევარმთვარისებრი მოყვანილობის რკალებით ბოლოვდება. გამოხატულება ე. წ. სასანურ მონოგრამას—მნათობის სიმბოლოს წარმოადგენს. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი არა ღრმად და არა მკვეთრად, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა. ნახელავი არ გამოირჩევა დიდი სიფაქიზით, იგი საკმაოდ ტლანქად არის შესრულებული. ბუდე მრგვალია, დაბალი და ძირშედრეკილი.

დაცულობა: ინტალიო ადგილ-ადგილ „დაკენკილია“ (პატინით დაფარვის გამო). ბუდე დაქულებულია. ეტყობა ინტალიოთი შემკული ბუდე ბეჭდისა იყო.

ზომა: დიამ.—7 მმ, სიმაღლე—3 მმ.

სამთავრო, 1947 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 566, საველე წიგნ. № 4794. სასანურია.

69. (ინვ. 615) ინტალიო ვერცხლისა (?), მრგვალი მოყვანილობის, ამობურცული პირი აქვს, ბრტყელი ქვედაპირი.

პირზე გამოხატულია რქოსანი ცხოველი, კუზიანი ხარი—ზებუ. პროფილში მარჯვნივ.

გამოხატულება მკრთალად ჩანს იმის გამო, რომ პირი დაზიანებულია. ხარს დიდი სწორი რქები აქვს, მოზრდილი თვალი მკვეთრად გამოხატული. მოკლეკისრიანია. ხარს ფეხები არ უჩანს. გამოხატულება სქემატურადაა შესრულებული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არა ღრმად. საკმაოდ პრიმიტიული ნახელავია.

ანალოგიური გამოხატულება საკმაოდ ხშირად გვხვდება სასანური დროის გემებზე. იხ. Delaporte. I Fouilles et Missions. ტაბ. 55, გამ. 58 (D. 211). Delaporte. II Acquisitions. ტაბ. 110, გამ. 17 (A. 1367); 18 (A. 1369).

დაცულობა: ინტალიო ორ ადგილას ღრმად გაბზარულია, პატინით არის დაფარული ისე, რომ გამოხატულება ზოგან დაზიანებულია, არ ჩანს.

ზომა: ინტალიოს დიამ. 10 მმ, სიმაღლე—2 მმ.

სამთავრო, 1939 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 61, საველე წიგნ. № 431. დაახლოებით ახ. წ. IV—V საუკ. თარიღდება.

70. (ინვ. 309) ინტალიო მოშავო ნაცრისფერი ქვისა, ვერცხლის ბეჭედს ამკობს. მრგვალი მოყვანილობის ინტალიო ქვედაპირისკენ ოდნავ ვიწროვდება, პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი დაქანებულია; ინტალიოს ბრტყელი პირი აქვს.

პირზე გამოხატულია მწოლიარე ირემი, პროფილში მარჯვნივ; თავი ზურგისკენ აქვს მიბრუნებული. გამოხატულება საკმაოდ სქემატურად არის შესრულებული. ირმის თავი სუპარულადაა გადმოცემული; დაბალი, მცირედ დატოტვილი რქები აქვს; ოთხკუთხი მოყვანილობის თვალი ორი ხაზითაა შემოფარგლული. საკმაოდ მაღალი, ძარღვიანი კისერი აქვს.

ფეხები შედარებით წვრილი ღარებითაა გადმოცემული. ჩლიქები მკაფიოდ ჩანს. მკერდს სიგანეში ორი ღარი ჰკვეთს. შუბლიდან კუდამდე პირის კიდეზე ამოჭრილია წყვეტილი რკალი.

მკერდის გასწვრივ ოვალური მოყვანილობის ნიშანია ამოჭრილი; იგი შესაძლებელია მნათობის აღმნიშვნელი იყოს.

ირემს კისერზე, სიგანეზე დაღარული, ფართო ბაბთა აქვს შებმული, ბაბთების ბოლოები ჰაერში ფრიალებს.

გამოხატულება თითქოს მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, მკვეთრად. სქემატური და საკმაოდ ტლანქი ნახელავია, გაბედული ხელით შესრულებული. ქვა თანაბრად არის გათლილი და გამოხატულებითურთ მქრქალად გაპრიალებული. გამოხატულება ანაბეჭდზე ზომიერ რელიეფს იძლევა.

მსგავსი გამოხატულება იხ. სასანური დროის გემებზე. Imhoof-Blümer und Keller. Tier und Pflanzenbilder... ტაბ. XVII, გამ. 37. Horn. Sassanidische Gemmen. ტაბ. LXIV, გამ. 551. Delaporte. II. Acquisitions. ტაბ. 109, გამ. 42 (A. 1331), 46 (A. 1334).

ბეჭედს ცილინდრული მოყვანილობის საკმაოდ მაღალი ბუდე აქვს, ბუდეზე მრგვალი მავთულის სქელი რკალია მირჩილული (ტაბ. 8, 70). ბუდე შეუმჩნევლად ვიწროვდება ძირისკენ; ძირი შედრეკილი აქვს, ნაპირები გადმოკეცილი თვალის მიმართულებით. რკალის მხრებზე (ბუდის ძირთან), აქეთ-იქით, მირჩილული აქვს ორ-ორი საკმაოდ მოზრდილი ბირთვი, რომელთაც მობრტყელებული თავები აქვს.

ანალოგიური ბეჭედები ახ. წ. IV საუკ. მიეკუთვნება. იხ. Henkel. Die römischen Fingerringe... ტაბ. XIV, გამ. 274, 274 a, 274 b, 281, 281 a, 281 b.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული, ბუდე ორგან ჩამოტეხილია, ბეჭედი ადგილ-ადგილ დაჰყლეტილია.

ზომა: ინტალიოს დიამ.—10 მმ, ბეჭდის სიმ.—28 მმ, დიამ.—20—18 მმ, ბუდის სიმ.—6 მმ.


სამთავრო, 1940 წ., N უბანი, ქვისსამარხი № 451, საველე წიგნ. № 105 (3873).

ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ. წ. IV საუკ. თარიღდება.


V 71. (ინვ. 591) ინტალიო მუქი ფერის ლაჟვარდისა, ვერცხლის ბეჭედში ჩასმული. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი; იგი ქვედაპირისკენ

VIII

70



309



71



374



72



617



ფორმა აქვს. მსგავსი გამოხატულებები იხ. სასანურ გემებზე. A Survey of Persian Art IV, ტაბ. 255, გამ. HH.

წაკვეთილკონუსისებრ დაბალ ბუდეს მირჩილული აქვს მრგვალი და სქელი რკალი, რომელიც ოდნავ მსხვილდება „მხრების“ მიმართულებით. ბუდის ვიწრო ნაპირები ოდნავ არის გადმოკეცილი თვალის მიმართულებით (ტაბ. 8, 617).

დაცულობა: ბუდიდან ამოვარდნილი ინტალიო ადგილ-ადგილ ატკეცილია, ბეჭედი პატინით არის დაფარული.

ზომა: ინტ. დიამ.—10 მმ, ბეჭდ. სიმ.—25 მმ, დიამ. 18—15 მმ, ბუდის სიმ.—2 მმ.

სამთავრო, 1940 წ., N უბანი, საველე წიგნ. № 3934.

დაახლოებით ახ. წ. IV—V საუკ. თარიღდება.

КАТАЛОГ ГЕММ НАЙДЕННЫХ В САМТАВРО

в 1940 — 41 и 1946 — 48 гг.

Резюме

Введение

За время систематических раскопок в Мцхета было обнаружено несколько сот резных камней, преобладающее большинство которых происходит из погребений Самтаврского могильника. Часть этих гемм, а именно, раскопочный материал 1938 — 39 годов, издан проф. М. И. Максимовой¹. Материалы же последующих годов рассматриваются в ниже-следующем каталоге.

